# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 15 ნოემბერი, 2006 წელი.

№ 224 (5565)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


# მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ერი ვიქნებით მსოფლიოში




**„ევროპას არ უნდა ეშინოდეს, კარი გაუხსნას საქართველოს, რადგან ის ჭეშმარიტად დემოკრატიულ გზაზე დგას“.**

ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სტრასბურგში, ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

ევროპარლამენტის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ამ ტრიბუნიდან მოხსენებით გამოვიდა.

მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და რუსეთს შორის განვითარებულ მოვლენებზე. მისი თქმით, საქართველო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სწრაფვისთვის დაისაჯა.

**„ჩვენთვის დიდი გამოწვევაა, როდესაც რუსეთი ცდილობს, მიმართულება დაგვაკარგვინოს, მაგრამ ეს არ მოხდება“,** – აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის შენარჩუნება საქართველოს ინტერესებში არ შედის და ამიტომ მან ევროპარლამენტის ტრიბუნიდან მოსკოვს მიმართა და მოუწოდა დაუბრუნდეს დიალოგის გზას.

**„ურთიერთობის ისე დაძაბვა არ უნდა დავუშვათ, რომ შემდეგ მისი გამოსწორება შეუძლებელი გახდეს. ჩვენ შევეცდებით, ევროპული ინსტიტუტების დახმარებით გავუმკლავდეთ რუსეთს ემბარგოს მოხსნისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით“,** – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებაზე.

**„ჩვენ შურისძიებაზე არ ვფიქრობთ, აფხაზები და ოსები ჩვენი მოქალაქეები არიან და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათი უფლებები დავიცვათ“,** – განაცხადა პრეზიდენტმა.

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე საუბრისას, სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო ახლო მომავალში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იქნება ბიზნესის წარმოებისა და განათლების მიღების თვალსაზრისით.

**„ჩვენ ვიქნებით ერი, რომელიც ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული იქნება მსოფლიოში“,** – აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, საქართველოს ოპოზიციას გაძლიერება სჭირდება, რადგან პრეზიდენტის თქმით, დემოკრატიას საფრთხე სწორედ ოპოზიციის სისუსტის გამო შეიძლება შეექმნას.

* * *

გუშინვე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამართა პრესკონფერენცია.

**ინტერპრესნიუსი**


## ნუთუ პუტინს ცოლ-შვილზე უახლოესი ნათესავებიც ჰყავს? 2

## სად გადის ჩვენი „თავდაცვის“ ხაზი? 4

## იოსებ ჯუღაშვილის არჩევანი 9

## ბუშის ადმინისტრაცია სამხრეთ ოსეთის რეფერენდუმს არ ცნობს 10




- რა „ჯოკერი“ უჭირავს სანაკოევს კოკოითისგან განსხვავებით?
- დემოკრატიულობას ჩემულობდე და ადამიანებს კი ეთნიკური ნიშნით სდევნიდე?!



◉ პრეზიდენტი



## გაორმაგებულ ფასს არ გადაიხდის

**სტრასბურგში ვიზიტად მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველო რუსეთის გაზის გაორმაგებულ ფასს არ გადაუხდის.**

— ეს კომერციული ფასი არ არის, ვინაიდან ზოგიერთი ჩვენი მეზობელი ამჟამად 65-ს, ზოგიერთი კი 110 აშშ დოლარს იხდის, — განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველო შეძლებს რუსეთის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური ფასისთვის გვერდის ავლას.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქვს ელექტროენერგიის დივერსიფიკაციის გეგმა და მეტწილად საქართველოში წარმოებულ ელექტროენერგიას გამოიყენებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა

**ბრიუსელში გუშინ ხელი მოეწერა ევროკავშირსა და ამიერკავკასიის სამივე ქვეყანას — აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას.**

როგორც რადიო „თავისუფლება“ იუწყება, ამ სახელმწიფოებს, მასშტაბური რეფორმების გატარების სანაცვლოდ, ევროკავშირი დამატებით დახმარებასა და ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას სთავაზობს.

ევროკომისარი ბენიტა ფერერო-ვალდნერი იმედოვნებს, რომ დღეს მიღწეული შეთანხმება ხელს შეუწყობს კონფლიქტების დარეგულირებას აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და ყარაბაღში.

**ინტერპრესნიუსი**

◉ საპარლამენტო კომისია

# ნუთუ პუტინს ცოლ-შვილზე უახლოესი ნათესავებიც ჰყავს?

**რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ქმედებების შემსწავლელი კომისიის გუშინდელ სხდომას უცრემლოდ არ ჩაუვლია. თუ აქამდე დეპუტატები რუსეთში საქართველოს კონსულს, იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს უსმენდნენ, ამჯერად მათ წინაშე უშუალოდ დეპორტირებული მოქალაქეები წარსდგნენ...**

სულ რაღაც ერთი თვის წინათ ნინო ტოგონიძე ვერც იფიქრებდა, რომ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მეუღლის გარდაცვალების დეტალებზე მოუწევდა ლაპარაკი. ცოლ-ქმარი პეტერბურგში ორი წლის წინათ წავიდა. ქალბატონი ნინო საქართველოში სამი თვის წინათ დაბრუნდა, თენგიზ ტოგონიძე კი 17 ოქტომბერს რუსეთის ქსენოფობიას ემსხვერპლა. 3 ოქტომბერს თენგიზ ტოგონიძე „ომონის“ თანამშრომლებმა სახლიდან გაიყვანეს, 13 დღე იზოლატორში ამაზრზენ პირობებში გაძლო, სადაც მხოლოდ 1000 მანეთის სანაცვლოდ იძლეოდნენ წყალს, პურის ნატეხს... უკვე დეპორტირებული პეტერბურგიდან მოსკოვის გზას გაუყენეს. ამ 800 კილომეტრის გავლა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ქალბატონი ნინო, თვითმხილველთა მოთხრობილზე დაყრდნობით, ყვებოდა, რომ გზაში მის მეუღლეს რამდენჯერმე უთხოვია ტრანსპორტის გაჩერება, რათა გარეთ გასულს სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა შეძლებოდა. იგი ელექტროშოკით „დააშოშმინეს“. რუსეთის პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში წერია, ტოგონიძე ტუბერკულოზით გარდაიცვალაო. ქალბატონი ნინო კი ამბობს, რომ მეუღლე ჯანმრთელი იყო და რუსეთში ჩატარებულ ექსპერტიზას არ ენდობა.

აფხაზეთიდან დევნილი აიდა ჩაკვეტაძე მეუღლესა და ორ შვილთან ერთად 12 წელი რუსეთის ქალაქ ენსკში ცხოვრობდა. ოქტომბრის დასაწყისში მისთვის უთქვამთ, ბავშვები კარგად ვერ სწავლობენ და სხვა სკოლაში გადაიყვანეო. დედა მიხვდა, რომ მოზარდებს ეთნიკური ნიშნით ანსხვავებდნენ, რაც პრეზიდენტ პუტინის გამოსვლის შემდეგ აშკარა გახდა. ერთ-ერთმა მასწავლებელმა ურჩია, შენი ნებით წაიყვანე ბავშვებიო. ვითარების დაძაბვის შემდეგ კი გახარებულ პედა-



გოგს უთქვამს, მადლობა ღმერთს, ეს ორი ჩაკვეტაძე სკოლიდან მოვიშორეო.

მათ დეპორტაციაზე სასამართლომ გადაწყვეტილება 3 წუთში გამოიტანა. ოჯახს საქართველოში გამოსამგზავრებელი თანხა არ ჰქონდა. რის ვაი-ვაგლახით აიღეს მატარებლის ბილეთები უკრაინაში წასასვლელად. რკინიგზის სადგურში ვალერი ჩაკვეტაძეს პასპორტი წაართვეს და, შვილებთან ერთად, კომენდატურაში ჩაამწყვდიეს. გათავისუფლების სანაცვლოდ თანხას სძალავდნენ, მხოლოდ ნაცნობი მილიციელის დახმარებით შეძლეს თავის დახსნა და ერთ-ერთი ქართველის მანქანით უკრაინაში ჩააღწიეს. 12 წლის ნაშრომ-ნაამაგარი რუსეთში დაატოვებინეს, მხოლოდ ტანისამოსის წაღება შეძლეს.

პაატა აბულაძე 1985 წლიდან რუსეთში ცხოვრობდა. რუსი მეუღლე ჰყავს (იგი მის გვარს ატარებსძ და ორი ვაჟი. აგვისტოში პაატა აბულაძე თბილისში ჩამოვიდა, რათა საბუთები მოეწესრიგებინა და გაბრუნებულიყო. თბილისში რუსეთის საელჩომ ვიზა არ მისცა. არგუმენტი? დედა და მამა რომ გყავდეთ, გაგიშვებთ, მაგრამ ცოლ-შვილი ახლო ნათესავები არ არიანო. აბულაძის განცხადებით, იმ სკოლაში, სადაც მისი შვილები სწავლობდნენ, „ომონი“ შეიჭრა და მისი ორივე შვილი საემიგრაციო სამსახურში ძალით წაიყვანა. პასუხად სკოლის დირექტორმა სასწავლო პროცესი შეაჩერა, ჩემი შვილის მეგობრებმა კი ქუჩაში საპროტესტო აქცია გამართეს. **„ჩემს ოჯახს ქართულ გვარზე, მამაზე, ქართველობაზე უარის თქმას აიძულებდნენ“,** — თქვა ბატონმა პაატამ.

აბულაძე ამტკიცებს, რომ ქართველებს რუსეთში ადრეც დევნიდნენ. **„მხეცებს გვეძახდნენ“, 50-50 კაცს მოხვეტავდნენ და სატვირთო მატარებლით ვლადიკავკაზამდე ჩაჰყავდათ. შემდეგ ერთი თვე ლარსის გამშვებ პუნქტზე ჰყავდათ ჩაკეტილები. ხშირად მათ საჭმელს ვაწვდიდი. პურის, სიგარეტის, წყლის მიწოდებაში 500-500 რუბლს მართმევდნენ“.**

დეპორტირებულთაგან მრავლად იყვნენ ისეთებიც, ვისაც საბუთები წესრიგში ჰქონდა, მაგრამ სასამართლო ამას არად დაგიდევდათ. მართლაც ქვის გული უნდა ჰქონოდა ადამიანს, გულგრილად რომ მოესმინა, რა ჯოჯოხეთურ პირობებში ამყოფებდნენ მათ ბავშვებიანად იზოლატორებში.

**— ამ ხალხის დეპორტაცია ყველა კანონისა და საერთაშორისო ნორმის დარღვევით მოხდა. ქვეყანა, რომელიც ადამიანებს ეთნიკური ნიშნით სდევნის, არ იმსახურებს, რომ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე იყოს აღნიშნული,** — თქვა კომისიის თავმჯდომარემ ნიკა გვარამიამ.

**კომისია დეპორტირებულთა მოსმენას მომავალ კვირაშიც განაგრძობს. დასკვნას უახლოეს პერიოდში შეიმუშავებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუგზავნის.**

**ლელა ხვადაგიანი**

◉ კომპეტენტური აზრი

# სანაკოევის კოზირი

## „სატიალო მდინარის“ თავსატეხი

**მართალია, ევროკავშირმა, ეუთომ, ნატომ, ევროპის საბჭომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ე. წ. არჩევნები და რეფერენდუმი დაგმეს, მაგრამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ცხინვალის დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები და ე. წ. დამოუკიდებლობის რეფერენდუმი ანგარიშგასაწევ მოვლენად შეაფასა.**

რუსეთმა ამ არჩევნებს კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარებული, ხოლო რეფერენდუმს ერთადერთი სამართლიანი საარჩევნო პროცესი უწოდა, სამხრეთ ოსეთის ხალხმა თავისუფლად გამოხატა თავისი ნება დემოკრატიული პროცედურების მეშვეობით და ვერც საქართველო და ვერც დასავლეთის სახელმწიფოები ამის მნიშვნელობას ვერ დააკნინებენო.

ექსპერტი **მამუკა არეშიძე** ამ განცხადებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, რადგან ზოგადად ეს არის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების სტილი და, ამდენად, სანერვიულოც არაფერიაო. ექსპერტის აზრით, მხედველობაში მისაღებია მხოლოდ ფაქტი: ე. წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა პრეზიდენტად კოკოითი აირჩია, მეორე ნაწილმა კი — სანაკოევი. ამას ვერსად გავექცევით, თუმცა, გაუმართლებელია მათს ლეგიტიმურობაზე მსჯელობა და საერთაშორისო ნორმებში მოქცევა.

მამუკა არეშიძის თქმით, მოხდა ასეთი რამ: ცხინვალის ხელმძღვანელობა ვერ აკონტროლებდა რეგიონის მთლიან გეოპოლიტიკურ სივრცეს და მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელსაც ვერ აკონტროლებდნენ, თავისი პრეზიდენტი აირჩია.

**— რუსეთის საგარეო საქმეთა უწყება გულწრფელად წუხს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ქართული სოფლების გამო, რომლებიც, თურმე, მძევლებად იქცნენ ავანტიურისტების ხელში მათ ანკესზე წამოეგნენ და სულ ფუჭად მონაწილეობდნენ, ე. წ. ალტერნატიული არჩევნებშიო...**

— აქ მთავარი სიტყვა „სოფლებშია“. რუსეთს უნდა მაქსიმალურად გამოაჩინოს, რომ არჩევნებში მხოლოდ ეს სოფლები მონაწილეობდა. სინამდვილეში კი ასე არ იყო: არჩევნებში მონაწილეობდა კარგა დიდი დაბა ახალგორი და მისი მიმდებარე სოფლები. მეტიც, დაბა წინაგარის, ჯავისა და ცხინვალის მოსახლეობის ნაწილი.

როგორ შეიძლება არჩევნების პრინციპულობაზე ლაპარაკი, როცა გზა ჩაკეტეს და ხალხს გადაადგილების საშუალება არ მისცეს? საკუთარი თვალით ვნახე რამდენიმე ოსი მოქალაქე, რომელიც ცხინვალში ვერ შევიდა კოკოითის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. გზა გადაკეტეს ჯავაშიც, რის გამოც, ჯავის ზოგიერთმა მცხოვრებმა კოკოითს ხმა ვერ მისცა.



ასე რომ, ცხინვალისგან განსხვავებით, გამოღმა მხარეს არჩევნებში არა მხოლოდ სოფლები და დაბები, არამედ ამ ტერიტორიიდან გამოსული ადამიანებიც მონაწილეობდნენ.

მამუკა არეშიძე ორხელისუფლებიანობის გამო ფიქრობს, რომ ამან თავისთავად წარმოშვა განხეთქილება ოსურ მოსახლეობაში, ანუ ზოგიერთ ოსს უნდა საერთო ენა გამონახოს სანაკოევის ხელისუფლებასთან. **„დაპირისპირების შემთხვევაში, რუსეთი აქტიურად ჩაერევა და ჩვენც იძულებულნი გავხდებით, მხარი დავუჭიროთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ორიენტირებულ ადამიანებს“,** — თქვა მან.

ექსპერტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სანაკოევის უსაფრთხოებას. ამ მხრივ იგი იწუნებს ფაქტობრივად დაუცველ ქურთას, სადაც ალტერნატიული პრეზიდენტის რეზიდენცია იქნება. კომუნიკაციების თვალსაზრისით, ასევე დაუცველია დიდი და პატარა ლიახვის შემაერთებელი გზა, ანუ ხელმძღვანელობას მიმოსვლა გაუჭირდება.

არეშიძის აზრით, სანაკოევის ძალაუფლების განსამტკიცებლად, ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონის ინფრასტრუქტურის აღდგენაზე დაპირების შესრულება:

**„სანაკოევს, ფორმალურად არჩეულ პრეზიდენტს, შეუძლია საკუთარი პრეტენზიებიც ჰქონდეს. სამხრეთ ოსეთზე არც გაეროს და არც დსთ-ს მანდატი არ ვრცელდება.** ამის გამო მოლაპარაკებას ოთხი მხარე აწარმოებს. ასეთ ვითარებაში სანაკოევს შეუძლია თქვას, რომ თუ არის კოკოითის ხე-



ლისუფლება, ჩემიც არისო. შესაძლოა, ახლა სამშვიდობოების გაყვანაზე მისი მოთხოვნა მართებული არ იყოს, მაგრამ გავა დრო და თუ მისი რეიტინგი აიწევს და ზემოხსენებულ პირობას შეასრულებს, უკვე თამამად შეუძლია დააყენოს სამშვიდობოების გაყვანის საკითხი.

სამომავლოდ რა მოხდება, ეს საქართველოს ხელისუფლების მართებულ ნაბიჯებზეცაა დამოკიდებული: **„უამისოდ მივიღებთ იმას, რაც გალში მოხდა, როცა მოსახლეობამ ბაღაფშს დაუჭირა მხარი და ვერანაირი შედეგი ვერ მივიღეთ“.**

ასე რომ, გაღმა-გამოღმა მყოფ ორ ხელისუფლებას „სატიალო მდინარე“ ჰყოფს. იოლი არ იქნება მისი გადალახვა. მაგრამ სანაკოევს, კოკოითისგან განსხვავებით, დასავლეთისთვის კოზირი უპყრია ხელთ: მისი მოქმედება და განცხადებები საერთაშორისი სამართლის ნორმებს უპასუხებს. იგი სამხრეთ ოსეთს საქართველოს შემადგენლობაში მოიაზრებს. ამიტომ ხიბლი მეტია. და თუ იგი რუსი სამშვიდობოების გაყვანას გამოაცხადებს, შესაძლოა, დასავლეთმა მხარი დაუჭიროს კიდეც...

**თამარ შაიშმელაშვილი**

№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

- ყოველთვის მზად არის პატრონის – პრეზიდენტის ნებისმიერი დავალების უმალ შესასრულებლად
- ხელისუფლება და მთავრობა კი სწორედ იმისთვის გვინდა, ამ დღეში არ აღმოვჩენილიყავით, თორემ ჩვენ რომ ყოფის ტირილი გვაქვს, ამას ან ხელისუფლება რაში სჭირდება და, ან მთავრობა?

◎ პრესკონფერენცია

# ან კაცს რას ვერჩით, ან პრიმატს?!

**გუშინ ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ჟურნალისტებს იმ მიმართვის შინაარსი გააცნო, რომელიც ნატოს გენერალური მდივნის აპარატში თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის შესახებ გაგზავნა.**

მან ბატონ სხეფერს მიმართა შეკითხვით, თუ რამდენად შეესაბამება კეზერაშვილის მინისტრობა ნატოს პარტნიორი ქვეყნის სტანდარტებს.

მან საზოგადოებრიობას კეზერაშვილის ნარკომანობა, სხვა „საქმენი საგმირონი“ – ბიზნესრეკეტირობა, კონტრაბანდის მფარველობა შეახსენა და პრეზიდენტის ბოევიკი უწოდა. ნათელაშვილის აზრით, ამ როტაციის მიზანი ისაა, რომ ხელისუფლებამ არმია მალე მშვიდობიანი მიტინგებისა და დემონსტრაციების დასარბევად გამოიყენოს. ნათელაშვილი ეჭვობს, რომ მალე მის ოფისს ტანკებით მიადგებიან...



ლეიბორისტების ლიდერს კეზერაშვილის ბიოგრაფია უაღრესად რთულად და საინტერესოდ მიაჩნია, კარიერის გარიჟრაჟზე თავი უამრავი ინვესტორის გაკოტრებითა და გარე მოვაჭრეების დარბევით გამოიჩინაო, კეზერაშვილს არც სალარო აპარატების დადგმის ინიციატივა დაუვიწყა, რამაც მაშინ უამრავი ხალხი ქუჩაში გამოიყვანა.

ბოლოს, კეზერაშვილს სააკაშვილის ერთგული მსახური უწოდა და მთელი ბიზნესის პრეზიდენტის საოჯახო კლანზე მორგებაში დაადანაშაულა.

ნათელაშვილმა აღნიშნა, რომ ნატოში გაგზავნილი მიმართვის ტექსტს თან ის ვიდეოფირიც დაურთო, სადაც ნათლად ჩანს, როგორ შეიჭრა პარლამენტში ახლანდელი ხელისუფლება და როგორ დახტოდა მაშინ კეზერაშვილი ჩაქუჩით ხელში მერხებსა და ტრიბუნაზე. იგი ორანგუტანგს შეადარა, რომელიც ყოველთვის მზად არის თავისი პატრონის – პრეზიდენტის ნებისმიერი დავალება ხტუნვახტუნვით შეასრულოს.

**ლელა მანაგლიშვილი**

◎ სულიერება

# ისტორიის გაუხუნარი ფურცლები

**სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გუშინ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში საერთაშორისო კონფერენცია – „ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები“ გაიხსნა. კონფერენციის გახსნას კათალიკოს-პატრიარქი დაესწრო.**

კონფერენციის ორგანიზატორები არიან: ალავერდის ეპარქია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს ეროვნული მუზეუმი. კონფერენციაში 50-მდე ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, არქეოლოგი და ახალგაზრდა მკვლევარი მონაწილეობს.

„კონფერენციას არა მარტო ერთი კონკრეტული ეპარქიის, არამედ მთლიანად ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს“, – განაცხადა მიტროპოლიტმა დავითმა.

მისი თქმით, კონფერენცია დღეს თელავის უნივერსიტეტში გაგრძელდება, სადაც ფორუმის მუშაობაში ადგილობრივი მეცნიერებიც ჩაერთვებიან.

კონფერენციის მონაწილე უცხოელი სტუმრები ალავერდის ეპარქიის ტაძრებს, მათ შორის ძველ შუამთას, ახალ შუამთას და ალავერდის სამონასტრო კომპლექსს მოინახულებენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ კრილოვის კვარტეტის ჰანგზე

# ბრავო, ბრავოო, ალბათ, ამოსძახებდნენ ბეთჰოვენიც და მოცარტიც

**არაბული ანდაზა გვასწავლის, ყველა ძაღლის ყეფაზე რომ შეჩერდე, გზის ბოლოს ველარ გახვალო.**

**ვგონებ, ჩვენი ოპოზიციის საქმეც ეგრეა. რაც უნდა ისა თქვან, უმრავლესობის წისქვილი მაინც თავისას ფქვავს. ისე, გაგიხარია, კარგია ოპოზიციონერობა. მით უფრო ისეთი, ჩვენი როა. თავისი ყველას განაღდებული აქვს. არ შია, არ სწყურია და არც ზამთრის ეშინია. საქმეც არაფერი აქვს (არც აკარებენძ და, რაღა დარჩენია? სახელის გასამართლებლად მაინც აღარც უყიჟინოს და უქრახოს უმრავლესობას?**

სულ უმრავლესობა და სულ ოპოზიცია, თურმე, არ შეიძლება. ყოველ ცივილიზებულ სახელმწიფოში ყოფილა ამის ერთგვარი ბალანსი. ამიტომ ჩვენშიც, უცილობლად, წამხედურობით, ასე უნდა იყოს, თორემ რა რჯის უმრავლესობას, რომ თავს აკლავს საქმეს? მთლიანად ოპოზიციაში გადაბარგდება და, მოგეცა ლხენა! აგერ, ზოგიერთმა ხომ ვერ გაუძლო ოფლთა წურვას და ახლა ოპოზიციაში ფეხმორთხმული ზანტად ილეჭება.

უმრავლესობა კი არც ამ ზანტ დამუნათებას დაგიდევთ რამედ და მიზანსწრაფულად მიექანება თავის გზაზე. მაგრამ ამ გზაზე, მისი თავისებურებების რაც შეიძლება მეტად გათვალისწინებით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, საგზაო ნიშნები უნდა გადააადგილო. უცნაური კია – გზა, თითქოს, იგივეა, საგზაო ნიშნებს კი წარამარა გადააადგილებენ. კი არ ცვლიან, სწორედ – გადააადგილებენ. ხომ სჯობს, ერთხელ მაგრად გაიაზრონ და მერმეღა ჩაასონ მყარად? ნაღდად სჯობს, უპირველესად, გზას წაადგება ეს. გამვლელს აღარ დააბნევს და ავარიაც ნაკლებად მოსალოდნელი იქნება. ასეთი ხშირი გადასკუპგადმოსკუპება კი, სწორედ რომ, ზრდის შეჯახების ალბათობას. აი, კომუნისტების ავადსახსენებელ დროს, საგზაო ნიშანს საცა ჩაარჭობდნენ, იქ იდგა და იდგა. ბევრი ეგრევე ჰოსტებზეც კვდებოდა. ცოცხალ მუმიებად ქცეულ გენსეკებსა და მათზე ცოტა უმცროსებს – საქმე კი არა, ხშირად თავისი ვინაობაც აღარ ახსოვდათ. უზარმაზარი სახელმწიფოს ძარცვაყვლეფის ოდენ, ვგონებ, არც რა კეთდებოდა, მაგრამ მაინც ახერხებდნენ, რომ დენიც გვქონოდა, გაზიც, სამუშაოცა და არც ასეთი აბუჩად ამგდები ხელფასები (ამ ყოფაში მყოფს, ძალაუნებურად, იმ ოხერ-ტიალი დროის ნოსტალგიაც გაგკენწლავსძ.

ჩვენებიც ლამის იგივეს სჩადიან, ოღონდ ჯერ ჯეელები არიან და ვერ კი ახერხებენ, რომ, ყველაფრის მიუხედავად, სულის მოსაბრუნებელი მაინც გვქონდეს. ხელისუფლება და მთავრობა კი სწორედ იმისთვის გვინდა, ამ დღეში არ აღმოვჩენილიყავით, თორემ ჩვენ რომ ყოფის ტირილი გვაქვს, ამას ან ხელისუფლება რაში სჭირდება და, ან მთავრობა?

ახლა აქტიური გადადგილებებით ცდილობენ აქტიურობის (ჩვენთვის, ხალხისთვის აქტიურობისძ მოჩვენებას. მხოლოდ ადგილის შეცვლა რომ შველოდეს საქმეს, კრილოვის „კვარტეტიც“ ისე შეწყობილად აჰანგდებოდა, ბეთჰოვენი თუ მოცარტი საფლავებიდან ამოსძახებდნენ, ბრავო, ბრავოო.

ჩვენი ხელისუფალნი ერთმანეთს კი ასხამენ ხოტბას, მაგრამ ამ სხმა-სხმით ის, არა პარტიული, არამედ ზოგადქართული წისქვილი არ ამუშავდება.

ადამიანი მხედველობით, სმენით, ყნოსვით, გემოთი და შეხებით აღიქვამს გარესამყაროს.

ჰოდა, ვხედავთ, დავიგემოვნეთ, შევეხეთ მაინც მხოლოდ ზემოდან მოსმენილ და შორი-შორად ნაყნოს ჰორიზონტივით მიუწვდომელ სიკეთეს?

რას გვეუბნებიან, ერთია, რას ვხედავთ და ხალხი რას ამბობს კი– სულ სხვა.

ააშენა ცისკარიშვილმა კახეთი, სვიმონიშვილმა კი საქართველოს სოფლის მეურნეობა? ეგებ, რაკი მთლიანად საქართველოს ვერ გასწვდა, ბატონმა მიხეილმა პატარა გურიისთვის მაინც ივარგოს, მაგრამ მხოლოდ კახეთის (გახსოვთ გლეხების ვაი-უში სასუქზე, საწვავსა და სეტყვას გადარჩენილი ყურძნის მიზერულ ფასებად ჩაბარებაზე?ძ ვერამშენებელი მთლად საქართველოს სოფლის მეურნეობას დააყრის ხეირს? არადა, ეს დალოცვილი მიწა ისეთი გვაქვს, თესლი უკუღმა რომ ჩააგდო, წალმა ამოვა. შენ თავი და მონდომება თქვი...

ქვეყნის ეკონომიკა ისე დაათხა ჩოგოვაძემ, აშკარაა, მისი სეხნია ოქრუაშვილი უთუოდ იმიტომ ჩაუნაცვლეს, ეგებ, როგორმე მოთოკოსო. აი, რატომ და რისთვის, ამას კი ვერა ვხედები. სხვა რამ მიზეზი რომ ყოფილიყო– ვთქვათ, ჩოგოვაძეს ცუდად ემუშავა, გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტად ხომ არ დანიშნავდნენ? სულაც დაითხოვდნენ. მაგრამ ბატონმა ოქრუაშვილმა, პრეზიდენტის თქმით, სადაც კი ფეხი დადგა, ყველგან დამში მოიყვანა საქმე; ახლა ჩვენი თავდაცვის წინა ხაზი ეკონომიკაზე გადის და ოქრუაშვილიც ისევ წინა ხაზზე უნდა იყოსო. მაშ, ჩოგოვაძეს ვერ გაუჭენებია ჩვენი ეკონომიკა – აგერ, თუ მკვდარი არა, სულთმობძრავი ხომაა და ამიტომაც მიავლინა იქ სააკაშვილმა თავისი „პანაცეა“. ეგ – კი ბატონო, მაგრამ გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კომპანიას რაღაც ერჩიან?

**რაც არის, ხომ არის, საგზაო ნიშნების გადანაცვლებას კიდევ გვპირდებიან. მერედა რა ხეირია? ხომ ვთქვით, გზა იგივეა და იგივეაო. სწორედ ამ გზას უნდა ჯერ გააზრება, მერე შერჩევა და მკურნალობა – ერთიან ქართულ გზას, საქართველოს გაბრწყინებამდე რომ მიიყვანს.**

**კონსტანტინე გურგენიძე**

◎ ინფორმაცია

## „ვაღიაროთ პოლიტპატიმრებად!“

**„საქართველოს კონსერვატიულმა (მონარქისტულმაძ პარტიამ“ სახალხო დამცველის ოფისთან გუშინ საპროტესტო აქცია გამართა.**

**აქციის მონაწილეებმა სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაკავებული იგორ გიორგაძის მომხრეების: თემურ ჟორჟოლიანის, ზაზა დავითაიას, მაია თოფურიასა და სხვების პოლიტიკურ პატიმრებად აღიარება მოითხოვეს.**

**მათი ინფორმაციით, ეს პატიმრები უკანონოდ არიან დაკავებულები და გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან.**

**„საქართველოს კონსერვატიულმა პარტიამ“ ხელისუფლების სახელზე შეადგინა პეტიცია, რომელიც, აქციის მონაწილეების თქმით, სოზარ სუბარის საშუალებით, ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს უნდა გადაეცეს.**




**აქციას სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრები შეუერთდნენ, მათ შორის იყვნენ თამარ ჩხეიძე, ნესტან კირთაძე, გურამ შარაძე და ელიზბარ ჯაველიძე.**

## კოკოითი გახარებულია



**სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი გუშინ დე ფაქტო მინისტრებს, კომიტეტების ხელმძღვანელებს და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს შეხვდა.**

**კოკოითმა მათ მადლობა გადაუხადა 12 ნოემბრის არჩევნებსა და რეფერენდუმზე გაწეული მუშაობისა და თანადგომისთვის.**

**„გილოცავთ ყველას გამარჯვებას, არჩევნებმა და რეფერენდუმმა მაღალ დონეზე ჩაიარა. ჩვენ ერთად გადავწყვეტთ ყველა იმ პრობლემას, რომელიც ჩვენს წინაშეა. ასევე დიდ მადლობას ვუხდით თანადგომისთვის ჩვენს ძმებს ჩრდილოეთ ოსეთიდან და რუსეთიდან“, – აღნიშნა დე ფაქტო პრეზიდენტმა.**

**კოკოითი მიიჩნევს, რომ ოსმა ხალხმა გამოხატა თავისუფლების სურვილი და იგი ვალდებულია, ამ ხალხის ნებას დამორჩილდეს.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

- ეჰ, ვინ მოგვილოცავს აწი ახალ წელს ცხინვალიდან?
- რითი სჯობს უსაქმური „დოდოშკა" საქმიან ყოფილ რაიკომის მდივანს?



№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ სამთავრობო კარუსელი

# სად გადის ჩვენი „თავდაცვის" ხაზი?



*შეხვედრებით თუ არა ცხინვალში ახალ წელს, ეს უკვე არავინ უწყის – აღარც თავდაცვის ექსმინისტრმა და არც ახლადგამომცხვარმა თავდაცვის მინისტრმა. მით უმეტეს ახლა, როცა მორიგი კარუსელიც დატრიალებულია, სამხრეთ ოსეთშიც თვითგამოცხადებული პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა და რეფერენდუმიც შედგა. რამდენად გაუსაძლისს გახდის ქვეყნის მოსახლეობისთვის ამ ზამთარს ეს ცვლილებები და არჩევნების შედეგები, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, ბევრი ქართველი პოლიტიკოსი სკეპტიკურად უყურებს ცვლილებებს საქართველოს მთავრობაში და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების პარალელურ არჩევნებსაც. დიმიტრი სანაკოევი, რომელზეც, როგორც ამბობენ, ოსეთის მოსახლეობის 91 პროცენტი „ჩავიდა ფსონს", გამარჯვებას მტრედების ცაში აფრენით ზეიმობს, ხოლო ედუარდ კოკოითი, რომელიც, ასევე, როგორც ამბობენ, მოსახლეობის თითქმის 95 პროცენტის არჩევანია, მხურვალე სიტყვებით ესალმება ქართველ და ოს სამხრეთოსეთელებს და რეფერენდუმით კმაყოფილია. მასში მონაწილეთა 99 პროცენტმა დადებითად უპასუხა კითხვას: „თანახმა ხართ, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ შეინარჩუნოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი და აღიარებული იყოს საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ?"*

*რუსეთთან შეერთებაზეც ორივე ხელით არიან ყაბულს.*

აშშ და ევროკავშირი ამ რეფერენდუმს არ ცნობენ. თვით ნატოს გენერალურმა მდივანმაც განაცხადა ეს. მისი აზრით, ასეთი ქმედებები რეგიონს ქაოსამდე მიიყვანს. ამ აზრს იზიარებს ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობაც და რეფერენდუმის შედეგებს, პოზიციასა და ოპოზიციას აბსურდულს უწოდებს.

რუსეთის „დუმა" გვაფრთხილებს, სერიოზულად მოვეკიდოთ ოსი ხალხის აზრს. საქართველოს პარლამენტსკი, ამ არჩევნებთან ერთად, კვლავ დღის წესრიგში აქვს სამთავრობო კარუსელი. საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, **„როცა ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავნიშნე გენერალურ პროკურორად, ბევრი თვლიდა, რომ ეს იყო არასწორი გადაწყვეტილება, მაგრამ მან ჩამოაყალიბა ისეთი მოდელი, რომელიც დღემდე წარმატებით მუშაობს. შემდეგ გვჭირდებოდა პოლიციის რეფორმა... 2005 წლის იანვარში მე ირაკლის ჩავაბარე შეიარაღებული ძალები. დღეს ჩვენი თავდაცვის ხაზი გადის ეკონომიკაზე"**. ამ აზრს და არჩევანს უმრავლესობა, რა თქმა უნდა, დაეთანხმება. მათთვის მისაღები თითოეული კანდიდატი იქნება.

აღარ აძლევდა ხელს საქართველოს პოლიტიკას ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრობა და, სავარაუდოდ, ახალი წლისთვის არც ცხინვალში ხიშტმომარჯვებული ჯარისკაცებით შესვლა.

როგორ პოლიტიკას აირჩევს საფინანსო პოლიციის ყოფილი უფროსი კეზერაშვილი თავდაცვის მინისტრის პოსტზე და როგორი რეაქციები მოყვება მის ქმედებებს რუსეთის „დუმიდან", უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. სავარაუდოდ, საქართველოს მთავრობას ამ ცვლილებით ოქრუაშვილის განცხადებებით შეშფოთებულ-შეშინებული „დუმელების" დაშოშმინების იმედი უჩნდება. ყოფილი თავდაცვის მინისტრი მიუღებელი იყო არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ დასავლეთისთვისაც, რადგან მისი აგრესიული ტონი ომის მომასწავებელი იყო, რაც არც ერთი მხარის წისქვილზე არ მიუშვებდა წყალს.





ქართველი პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ე.წ. ოსეთში გამართულ არჩევნებსა და რეფერენდუმზე ფიქრობს, რომ რუსეთ-საქართველოს დაძაბულობის ფონზე კოკოითმა ლოგიკურად გადაწყვიტა რეფერენდუმის ჩატარება. ეს გადაწყვეტილება დაძაბული ქართულ-ოსური პოლიტიკის გამწვავების პროვოცირებაა. **„მიუხედავად იმისა, რომ ალტერნატიული არჩევნების ლეგიტიმურობა ბევრ კითხვას წარმოშობს, მაგრამ ანალოგიური ლეგიტიმურობა არც კოკოითის არჩევნებს აქვს და კითხვები იქაც ჩნდება. კოკოითის არჩევნებზე თუკი ვინმე აპელირებას დაიწყებს, ეს რუსეთი იქნება, რაც კარგად ჩანს რუსულ მედიაში. მაშინ ქართულ მხარეს ექნება საშუალება განაცხადოს, რომ ოსეთში არის ძალა, რომლისთვისაც მიუღებელი არაა საქართველო. ჩემი აზრით, ეს ალტერნატიული არჩევნები თავის ფუნქციას უფრო დიპლომატიურ მაგიდაზე შეასრულებს. პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ არჩევნებს აუცილებლად დიდი როლი დაეკისრება"**, – დარწმუნებულია ქართველი პოლიტოლოგი.

**ოლღა ცისკარიშვილი**

◎ რეპლიკა

# 99 პროცენტი

**კოკოითის გაპრეზიდენტებიდან თუმცა ხუთი წელი გავიდა, ეს კაცი ვერა და ვერ დადგა მყარად ფეხზე, მუდმივად თავის პოლიტიკურ ხაზთან ერთად ქანაობს, ხან ვის შეავედრებს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას", ხან – ვის. რუსეთთან ეს საქმე არ გამოდის, განა იმიტომ, რომ მგელი კრავის დაგლეჯა-შესანსვლაზე უარზეა, ბარე ნერწყვიც მოსდის, მაგრამ რა ქნას?! აფრთხილებენ: რასაც კოკოითი თავის „რესპუბლიკას" ეძახის, ამ მიწაზე ორი ათასი წელია ქართველები ცხოვრობსო. ასე რომ, ქვეყანა მარტო სამგლეთი როდი ყოფილა. საერთაშორისო თანაცხოვრების კანონებით მგლებს, აფთრებს, ნიანგებს და კიდევ სხვებს ეკრძალებათ სხვის მიწებზე თვალების ბრიალი.**

ერთიხანობა კოკოითი მასავით გზააბნეულ ბალაფშს მიეკედლა, რაღაც ურთიერთგატანის პაქტიც კი დადეს, მაგრამ გამოირკვა, რომ მკვდარი მკვდარს ყოფილა აკიდებული...

შემდეგ სამხრეთელი ოსების პრეზიდენტმა დიდხანს უტრიალა ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიას – კავკასიის ქედზე გადაკიდებული ხურჯინი ვართო (რევაზ ასაევის მეტაფორააძ, მაგრამ აღარც ალანიას სურს ზედმეტი ბარგის თრევა – ჩემი თავი გამჭირვებიაო.

კოკოითი ჯოჯოხეთში შევა, ჯოჯო-ქაჯებს შეეკრება, ოღონდ საქართველოს შემადგენლობაში შესვლას ნუ მოსთხოვთ. ეს მისი პატრონების მთავარი მოთხოვნაა. ამ დღეებში ცხინვალში ჩატარებულმა რეფერენდუმმა იმედის ნაპერწკალი გაკვესა: ამბობენ, ვენესუელის შემადგენლობაში ასოცირებული წევრის უფლებით შესვლას ეპირება, თან ამ ქვეყანას შორიდან ეკეკლუცება – ოთხმოცდაცხრამეტპროცენტიანი ვარო.

– ნუ დააკნინებთ ცხინვალში ჩატარებული არჩევნებისა და რეფერენდუმის მნიშვნელობას! – მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებრიობას ამ პროცენტით მონუსხული რუსეთის საგარეო უწყება.

– ცხინვალში ჩატარებული არჩევნები და რეფერენდუმი უშედეგო და არადროულია, – მიაჩნიათ ევროპის ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

**გურამ პავლიაშვილი**

◎ ფიქრები საპარლამენტო მისასვლელთან

# ლუსტრაცია თუ ილუსტრაცია?

**ბოლო დღეებში ტელეეკრანზე გახშირდა მსჯელობა ეგრეთ წოდებული ლუსტრაციის კანონის შესახებ, რომლის პროექტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უპირებენ გატანას. ერთ-ერთმა მუხლმა განსაკუთრებით გამაკვირვა – ყოფილ რაიკომის მდივნებს სახელმწიფო ორგანოებში საქმიანობა აეკრძალათო.**

ჩემს „უცხო სიტყვათა ლექსიკონში" რომ ჩავიხედე, ლუსტრაცია ყოფილა „პოლონეთსა და რუსეთში სახელმწიფო ქონების პერიოდული აღწერა" და რატომ გახდა ახლა სხვა შინაარსისა, ვერ მივხვდი, მაგრამ ეგ არაფერი – გახდა და გახდეს. საქმე ის არის, რომ ამჟამინდელ პარლამენტარებს შორის არის ყოფილი რაიკომის მდივანი ნიკო ლეკიშვილი – ჩემი აზრით, კაცი ყოვლად ღირსეული. არის საბჭოურ ხანაში რაიკომის მდივნობაზე არანაკლები თანამდებობების მქონე კოტე გაბაშვილი... რა ვქნათ, ავუკრძალოთ მუშაობა?.. საერთოდ, რამდენჯერ წყობილება შეიცვლება და ესა თუ ის პოლიტიკური პარტია ცხოვრების სცენას დატოვებს (თუ დაატოვებინებენძ – მოვსდგეთ და ქოქოლა ვაყაროთ? რა, ახლანდელი ნაციონალების ძირითად ბირთვს აწ შერისხული მოქკავშირელები არ შეადგენენ? იმიტომ ვერ უკავიათ დიდი პოსტები? კარგი და, ვთქვათ, ახლო ხანში რომ ნაციონალთა ხელისუფლება შეიცვალოს და სხვა პოლიტიკური ძალა მოვიდეს, ამდენ თვალსაჩინო ნაციონალს „ლუსტრირება" ავკიდოთ და კარი ავუჭედოთ? **ამ ლუსტრაციის კანონით რის ილუსტრაციას აპირებენ ნეტავი?**



...პარლამენტის ბუფეტში ერთ ნიშნოვან დეპუტატ ქალბატონს შევესწარი – ტელევიზორის თითქმის ყოველდღიურ სახეს. მოსადილეს მოვუბოდიშე და ჩემი ეჭვები გავუზიარე. „სისულელეა ეგ კანონპროექტი, ალბათ არც მივიღებთ განსახილველადო", მითხრა. სავსებით ვიზიარებ ამ შეფასებას. მომიტევოს, რომ გაზეთის ფურცლებზე „ჩავუშვი".

**...წლების მანძილზე ვიყავი პარლამენტის აპარატში ერთი ყოფილი რაიკომის მდივნის, იმჟამად წამყვანი სპეციალისტის თანაოთახელი და მის გვერდით მოქალაქეებთან კორექტული ურთიერთობის, მომსვლელთა თუ მთხოვნელთა დაკვალიანებისა და გასაჭირის გაზიარების კარგი სკოლა გავიარე სამოხელეო სარბიელზე ახალბედამ. ასეთი თანამშრომელი გაუშვეს და სამაგიეროდ არაერთი, მთელი დღე სიგარეტის მქაჩავი, მოჭორავე, კომპიუტერთან მოთამაშე ან აქეთ-იქით მორბენალი „დოდოშკა" დატოვეს...**

**თამაზ ებანოიძე**

**ახია მაგათზე!**

# საიქიოს ზარხოში

## რუს ლოთებს თურმე ქართველი მავნებლები წამლავენ

**რუსეთში გლოვის ზარია. გენადი ონიშჩენკოს ალკოჰოლურმა რეფორმამ, ქვეყნის ბაზრობიდან იაფი ქართული და მოლდოვური სასმელის გამოდევნამ, „პილატეს ცრემლებზე“ სრული სახელმწიფო კონტროლის დაწესებამ შოკში ჩააგდო დიდი და პატარა. ვაჭრობის შეზღუდვითა და სასმელის გაძვირებით ფალსიფიკატორებმა კარგად ისარ-**



**გებლეს და უამრავ რეგიონში სიკვდილის კალო დაატრიალეს.**

კერძოდ, წლევანდელ 10 თვეში კრასნოიარსკის ოლქში ყალბი ალკოჰოლური სასმელით მოიწამლა 1000 კაცი, ბელგოროდის ოლქში – 912, ირკუტსკის ოლქში – 690, ფსკოვის ოლქში – 500, კიროვის ოლქში – 308, სვერდლოვსკის ოლქში – 300, ტვერის ოლქში – 212, კურსკის ოლქში – 200, პერმის ოლქში – 195, ვოლოგდის ოლქში – 107, სარატოვის ოლქში – 105, ვლადიმირის ოლქში – 100... ცხადია, იყო მსხვერპლიც. სვერდლოვსკის ოლქში, მაგალითად, დაიღუპა 52 კაცი, ბელგოროდის ოლქში – 44, ირკუტსკის ოლქში – 27, კრასნოიარსკის ოლქში – 22, კიროვის ოლქში – 19, ფსკოვის ოლქში – 16...

ეს ციფრები, რა თქმა უნდა, მთლად ზუსტი არაა. როგორც მოწამლულთა, ისე გარდაცვლილთა რაოდენობა გაცილებით მეტია. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ალკოჰოლიზმით დაღუპულთა რაოდენობა ყოველწლიურად უდრის 35-42 ათას კაცს. სახელმწიფო დუმის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნიკოლოზ გერასიმენკოს განცხადებით კი – 500-700 ათას კაცს. რა, ეს დიდი ციფრია? სულაც არა! ის დაავადებები, რომლებსაც იწვევს ეთილურ, ტექნიკურ, ჰიდროლიზურ სპირტზე, სადეზინფექციო სითხეებსა და ქიმიურ საშუალებებზე დამზადებული სასმელები, გაცილებით მეტსაც კლავს, მაგრამ ყველას ვინ ითვლის, – ასკვნის დეპუტატი.

და მართალიც არის. თვით რუსული პრესა



ალიარებს: – **ისე სწრაფად იზრდება მოწამლულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა, რომ მათ დაფიქსირებას ვერ ასწრებენ ვერც მილიციელები და ვერც ექიმებიო.** საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პრემიერ მიხეილ ფრადკოვს სახელმწიფო დუმამ სასწრაფოდ გარკვევა სთხოვა შექმნილ კატასტროფულ სიტუაციაში. ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა ეს მონათლა კარგად დაგეგმილ დივერსიად, რომელსაც ახორციელებენ ქართველი და მოლდოველი მავნებლები. გესმით? ქართველი და მოლდოველი მავნებლები, რომლებიც თურმე იატაკქვეშეთში მუშაობენ რუსეთის ევროპული ნაწილიდან შორეულ აღმოსავლეთამდე. გვირაბია რაღა, ლონდონიდან ბომბეიმდე!

და იცით, რის შემოღებას აპირებენ ამ ქართველი და მოლდოველი დივერსანტ-მავნებლების დასასჯელად? ადგილზე დახვრეტას. სახელმწიფო დუმის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი კოლესნიკოვი წერს: **ჩინეთში ასეთ ადამიანებს ხვრეტდნენ სტადიონზე. ჩვენ სუროგატის მწარმოებლებს უნდა გავუსწორდეთ ადგილზე** („მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 2.11. 2006წ. ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში სახელმწიფო დუმა განიხილავს ალკოჰოლიზმით შექმნილ პრობლემებსაც და დასახავს უმკაცრეს ღონისძიებებსაც. შეიძლება დახვრეტა არ დააკანონონ, მაგრამ სამუდამო პატიმრობას ნაღდად არ აგვაცდენენ. ასეთი ამბების შეფასება, ალბათ, ორი სიტყვით შეიძლება – ვაი, ჭკუისაგან!

ისე, ვიღაცას კი გაახსენდა ადამიანთა აღზრდა. მასობრივად გალატაკებულ-გალოთებული ხალხი თავად იხრჩობა იაფ სასმელში და მარტო მწარმოებლებს რად ერჩითო, ცოტა სილა „პიანიცებსაც“ გააწანითო, მაგრამ ეს კომუნისტურ ქადაგებაში ჩაუთვალეს. ბარემ ქუჩებში ასეთი ლოზუნგებიც გააკრითო: სვამ ტუშს, ეხმარები ბუშს!

აი, სად გაიშიფრნენ, – ეკონომიკა მაინც დაუკავშირეს პოლიტიკას, საქართველო კი – ამერიკას. ესაა მათი ყველაზე დიდი მუცლის ტკივილი, თორემ ქართული ალკოჰოლის დივერსიისა თავად დეპუტატებს კი არა, სასაცილოდ ალბათ, ქათმებსაც არა ჰყოფნით!

**ბონდო გულიაშვილი**

**გუშინდელი ფოსტიდან**

# მოვეშვათ ფუჭ და მავნე „სენსაციებს“

**რეპლიკა „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომელს ქ-ნ ნანა სულავას, რომელიც ესაუბრა „ცნობილ მუსიკოსს“ ბ-ნ ს. ჟვანიას („საქ. რესპ“. 2006 წლის 9 ნოემბერი №220ძ.**

ქ-ნო ნანა! საკითხი, რომელიც უკვე მერამდენეჯერ წამოსწიეს თქვენმა რესპონდენტმა და მისმა მსგავსმა სენსაციების მაძიებელმა ნიჰილისტებმა, დიდი ხანია გარკვეულია ჩვენი „მუსიკალურად განათლებული საზოგადოებისა და კომპეტენტური კომპოზიტორთა კავშირის მიერ“, რაც არაერთხელ ითქვა პრესაში და, მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ (მაგ. 2004 წ. 18 მაისის ნომერში. ნუთუ თქვენ არ წაგიკითხავთ?!ძ. ამიტომ იგი არავითარ დამატებით განხილვასა და დისკუსიებს არ საჭიროებს.

გენიალური ქართველი კომპოზიტორის მაგინებლებმა მაშინ (თითქმის სამი წლის წინათძ ვერავითარი „ნივთმტკიცებები“ (ნოტები, ჩანაწერები და ა.შ.ძ ვერ წარმოადგინეს (ან საიდან წარმოადგენდნენ?ძ თავიანთი მკრეხელური ინსინუაციების დასადასტურებლად (ვითომდაც, საქართველოს ჰიმნი რუსულ სიმღერას ემყარებაოძ და ამით საკითხი თითქოს დაიხურა.

თურმე ვცდებოდით. თქვენს ახალ პუბლიკაციაში დამატებით მოყვანილია ერთი კურიოზულზე კურიოზული „საბუთი“, მომყავს ტექსტი: **„საქართველოს ჰიმნის ძირები რუსულია. მუსიკა ცნობილ რუს კომპოზიტორს დუნაევსკის ეკუთვნის. იმ ხანად დუნაევსკი ამტკიცებდა, ფალიაშვილმა ჩემი სიმღერა გამოიყენაო“.**

ამ „მტკიცების“ აბსურდულობა და კურიოზულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ფალიაშვილის „დაისი“ იწერებოდა (1920-1922 წლებიძ დუნაევსკი 20-21 წლის ყმაწვილი იყო და, ფაქტობრივად, დაწყებულიც არ ჰქონდა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა!

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დუნაევსკის არსად და არასდროს არ დაუწერია და ან უთქვამს ის სიცრუე, რომელსაც მიაწერს რესპონდენტი.

აი, ასეთ „მტკიცებულებებზე“ იყო აგებული ფალიაშვილისა ან საქართველოს ჰიმნის წინააღმდეგ ადრე აგორებული ბინძური ცილისმწამებლური კამპანიაც. მაგრამ, როგორც ირკვევა, ჩვენი სენსაციების მოყვარული ნიჰილისტები კვლავაც არ ცხრებიან.

ამიტომ გირჩევთ, მომავალში მეტი სიფრთხილე გამოიჩინოთ თქვენს ჟურნალისტურ საქმიანობაში. შეამოწმოთ ფაქტები, რათა არ მისცეთ ასპარეზი სხვადასხვა ჯურის ცილისმწამებლებს თავიანთი აკვიატებული ან მავნე აზრების გამოსატანად გაზეთის ფურცლებზე.

პატივისცემით

**გულბათ ტორაძე,**
მუსიკისმცოდნე

# რატომ ამესსრებს ელექტროკავშირი ჩვენთან კავშირს?!

**ძვირფასო რედაქცია, ამ პატარა წერილს ელექტროკავშირისაგან გაბრაზებული აბონენტები გწერთ. ჩვენი გაბრაზება კი რაშიც მდგომარეობს, ახლავე მოგახსენებთ...**

ჩვენ საბურთალოზე ვცხოვრობთ. ჩვენი სატელეფონო ინდექსია 38. მაგრამ მთლიანად იქ თითქმის ორმოცდაათამდე ინდექსია. ახლა წარმოიდგინეთ, სულ რამდენი აბონენტი იქნება. როგორც ელექტროკავშირში გამოკრული განცხადება გვამცნობს, კუთვნილი გადასახადის გადაუხდელობის გამო ტელეფონების გამორთვა ხდება ყოველი თვის 15, 20 და 25 რიცხვებში. სხვაგან ვერსად ვერ გადაიხდი, მხოლოდ იქ, ნუცუბიძის 14 ნომერში უნდა მიხვიდე და... მეორე სართულიდან პირველი სართულის შესასვლელში დაგხვდება რიგის კუდი.

თუ არსად არ გეჩქარება და არც ნერვები გღალატობს, იდექი, ბატონო, და ელოდე, როდის აღმოჩნდები მეორე სართულზე რომელიმე სალაროსთან. თანაც დღის 5 საათამდე უნდა მოასწრო (ამ დროს თურმე კომპიუტერის გამორთვა ხდებაძ. არადა, თუ უკვე შიგნითა ხარ, დაცვის პოლიციის ძალისხმევით გარეთ აღმოჩნდები, ხოლო თუ გარეთა ხარ, იმავე პოლიციის წყალობით შიგ შეღწევაზე აღარც იფიქრო (თუმცა, ღვთის წინაშე, ეს ყველაფერი ზრდილობის ფარგლებშიაძ. ასე რომ ნუცუბიძის 14 ნომერში რამდენჯერმე შეიძლება რომ მოგიწიოს მისვლა.

თქვენი გაზეთის საშუალებით უნდა მივმართოთ ელექტროკავშირის ხელმძღვანელობას: **ამჯერად ნამდვილად, არაძვირფასო მეგობრებო, როგორც ჩანს, ოხუნჯობის ხასიათზე ბრძანდებით, და მასხრად თუ აბუჩად გვიგდებთ, უფრო სწორად კი, გვამასხარავებთ ათასობით აბონენტს. არადა, სხვანაირად როგორ გავიგოთ თქვენი ასეთი მართლაც აგდებული დამოკიდებულება ჩვენ მიმართ.**

**ნუთუ ისე ძნელია დღევანდელ პირობებში, როცა თითქმის ყოველ ნაბიჯზე ათასგვარი ბანკები და სერვისებია, რომ მთელმა საბურთალომ ნუცუბიძის 14 ნომერში არ ვიაროთ (ალბათ, სხვაგანაც ასევეაძ და ჩვენთვის ისედაც წელისმომწყვეტ გადასახადებს ნამდვილად მომცდენი და მომაბეზრებელი მიმოსვლის თანხაც არ მივუმატოთ.**

**ამ ამბავს, როგორც იტყვიან, უბრალოდ ტვინის განძრევა სჭირდება (ცხადია, ტვინის ქონის პირობებშიძ.**

**შედით ჩვენს მდგომარეობაში, ჩვენ კიდევ ზედმეტი წვალება გვინდა?!**

**ელექტროკავშირთან ჯერჯერობით კავშირგაუწყვეტელთა სახელით**

**გუჩა დარასელია,**
**ირინოლა კუბლაშვილი,**
**აკაკი მგალობლიშვილი.**

**მეზობლებთან**

# ემანდ არ დაგვცხრილოს...

**ჩვენ უკვე ვიუწყებოდით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს პირველი ვიცე-სპიკერის ლუბოვ სლისკას „ოთხმილიონრუბლიანი გაქურდვის“ თაობაზე. ფულისა და ძვირფასეულობის გარდა, თითქოს ჯილდოდ მიღებული პისტოლეტიც „გასწაპნეს“, მაგრამ ზოგიერთი რუსეთული გაზეთის ეს ცნობა სწორი არ აღმოჩნდა –**



**იარაღი პატრონს დარჩენია. აი, ეს მამაკაცური „სათამაშო“ საიდან აქვს, ამაზე კი ლუბოვ კონსტანტინეს ასულმა დუმილი ამჯობინა.**

**– ოდესმე თუ გისვრიათ იქიდან?** – ჰკითხეს ვიცე-სპიკერს.

– თქვენ მე ცუდად მიცნობთ. ორივე ხელით ვისვრი, – უპასუხა სათათბიროს პირველმა მანდილოსანმა.



საქართველო რომ ამ დიდჩინოსან რუსეთელ ქალბატონს გულზე არ ეხატება (თუნდაც ლამაზ გულზეძ, კარგადაა ცნობილი. კაცო, რამე რომ იყოს, არ მოგვიტრიალდეს და სროლა არ აგვიტეხოს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სპიკერისაგან, ნინო ბურჯანაძისგან ძვირფასი საჩუქარი მიუღია: თეთრი ოქროს ჯვარი, ბრილიანტებით მოოჭვილი და პლატინის ძეწკვზე ჩამოკიდებული... იმიტომაც დაუფასა...

ეს სამახსოვრო „КП“-ს მიერ გამოქვეყნებულ გატაცებულ ფასეულობათა ნუსხაში მე-11 ნომრად ზის (გაზეთის 28 ოქტომბრის ნომერიძ...

**თამაზ ებანოიძე**

- ალმოსავლეთ საქართველოში მოქმედი ცოცხალი თევზის მწარმოებელი კომპანიები ყოველწლიურად, სავარაუდოდ, 500 ათასიდან 1 მილიონ ცალამდე ერთწლიან ევროპულ ლოქოს მოიხმარენ
- ჩვენი შეშინება, ფაქტობრივად, უკვე შეუძლებელია. პიტალო კლდე ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ჩვენ, ხალხი, ვუძლებთ



№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

◉ ახალი ტექნოლოგიები



# ჯერ ქართული ბაზარი გავაჯეროთ, უცხოელებზე კი მერე ვიფიქროთ

***ამას წინათ საქართველოს სამეცნიერო ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა სამეცნიერო ბიზნეს-სამეწარმეო კონფერენცია გამართა, რომელიც მიზნად ისახავდა მეწარმეებისა და ბიზნესის პროფესიონალთა შეხვედრას. კონკურსში გამარჯვებულ ინოვაციურ ბიზნესპროექტებს სპეციალური გრანტები გადაეცათ. გვესაუბრება ამ კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტის ავტორი გიორგი მარტაშვილი.***

– ამჟამად ქართული ბაზარი გაჯერებულია მხოლოდ ასტრახანიდან შემოტანილი გაყინული ლოქოს თევზის ხორცით, რომლის კვებითი ღირებულებები ძალიან დაბალია ცოცხალთან შედარებით, – გვითხრა ბატონმა გიორგიმ. თავად განსაჯეთ, საქართველოში დაჭერილი ცოცხალი ლოქოს კვებითი ღირებულება 100 პროცენტია, ხოლო ასტრახანიდან შემოტანილის – 10 პროცენტი, სწორედ ამიტომ მე და ჩემმა მეგობარმა 1992 წელს დავაფუძნეთ კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა ტბორის თევზების ლიფსიტების ინკუბაცია, გამოზრდა, რეალიზაცია, ასევე სასაქონლო თევზის წარმოება და გაყიდვა. კომპანიამ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად შეიმუშავა ევროპული ლოქოს ლიფსიტების გამოყვანის და გამოზრდის ინოვაციური, ინდუსტრიული მეთოდი.

როგორც ბატონი გიორგი მარტაშვილი განმარტავს, ევროპული ლოქოს ერთწლიან ლიფსიტებს გამოიყენებენ ცოცხალი თევზის მწარმოებელი კომპანიები, როგორც საწყის მასალას სასაქონლო პროდუქციის მისაღებად. რაც უფრო ინტენსიური მეთოდებით გამოზრდის ესა თუ ის კომპანია ერთწლიანებს, მით უფრო სწრაფად ღებულობს საბოლოო პროდუქტს, რომელზეც საქართველოში უდიდესი მოთხოვნილებაა. რაც შეეხება ერთწლიანების ზრდასა და მისი ზრდის ტემპს, იგი დამოკიდებულია ლიფსიტის მასაზე და მის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. რაც უფრო სწრაფია ზრდა, მით უფრო მცირდება ტექნოლოგიური ხარჯები და იზრდება მოგება.

ევროპული ლოქოს ერთწლიანი ლიფსიტის ოპტიმალური საშუალო წონა საქართველოსათვის 200 გრამის ფარგლებში მერყეობს.

ჩვენი კომპანია – ინდმეწარმე „ლევან უსუფაშვილი“ 1996 წელს დავაფუძნეთ და მდებარეობს სიღნაღის რაიონში, დაბა წნორში, მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე. კომპანიის სატბორე მეურნეობას უკავია 25 ჰექტარი. აქედან თევზის ტბორებს – 20 ჰექტარი. ჩვენ ერთობლივად ვმუშაობთ.

მინდა გითხრათ, რომ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი ცოცხალი თევზის მწარმოებელი კომპანიები ყოველწლიურად, სავარაუდოდ, 500 ათასიდან 1 მილიონ ცალამდე ერთწლიან ევროპულ ლოქოს მოიხმარენ. ეს კი, შესაბამისად, 600 ათასიდან 1, 2 მილიონი დოლარია. ინტენსიური კვებისას ერთწლიანი ლიფსიტის თვითღირებულება 0,25 დოლარია, საბაზრო ფასი კი – 1,2 დოლარი.

ჩვენი მიზანია, – გვეუბნება ბატონი გიორგი, – რომ ერთწლიანების წარმოების მოცულობა მივუახლოვოთ ბაზრის მოთხოვნილებასა და გარკვეულ ზღვრამდე შევამციროთ საბაზრო ფასი.

**– მაინც რითი გამოირჩევა თქვენი მეთოდი?**

– მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის არსებობს მსგავსი ტექნოლოგიები, ჩვენი მეთოდი ყველა დანარჩენზე გაცილებით ეფექტურია. ჩვენ ვიცით ინკუბაციისას განაყოფიერებული ქვირითის თითქმის ზუსტი რაოდენობა, ვიცით რვადღიანი ლარვების რაოდენობა და ამ რაოდენობის გათვალისწინებით შეგვიძლია წინასწარ გავითვალოთ მთელი წლის ფინანსური დანახარჯები.

**– როგორ აპირებთ კონკურენცია გაუწიოთ სხვა ფირმებს, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში?**

– ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება საქართველოს ზოგიერთ ცოცხალი თევზის მწარმოებელ კომპანიასა და საზღვარგარეთის (ბელორუსია, უკრაინა, რუსეთი)ძ საცდელ-საწარმოო ორგანიზაციებში, ბუნებრივი ეკოლოგიურ პირობებთან მიახლოებულია. ასეთ კომპანიებსა და ორგანიზაციებში ინკუბაცია მიმდინარეობს ტბორებში, ველურ პირობებში. ამის შედეგად შეუძლებელია განაყოფიერებული ქვირითის და მით უმეტეს 8 დღიანი ლარვების რაოდენობის მიახლოებითი რაოდენობის დადგენაც კი. ჩვენ კი ვიცით რაოდენობა, ვკვებავთ საკვები ულუფის ზუსტი გათვლით.

ჩვენთან ლიფსიტების სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 180 დღეა. ბელორუსიაში – 90 დღე, უკრაინაში – 120, ხოლო რუსეთში – 150 დღე. ლოქოს კვების ხანგრძლივობის ყველაზე კარგი პირობები საქართველოშია. დროის სწორედ ამ მონაკვეთში ტბორებში თევზის მხოლოდ ბუნებრივი პროდუქტიულობა ერთ ჰექტარზე აღწევს 250-300 კილოგრამს. შესაბამისად ბელორუსიაში 90 დღე, ხოლო წონა 50-80 კილოგრამია, თვითღირებულება კი ორჯერ ბევრია, მაშინ როდესაც ჩვენს კომპანიაში წარმოებული ერთწლიანების საშუალო წონა 7-ჯერ აღემატება მათ მიერ წარმოებული ლიფსიტის საშუალო წონას.



წლების განმავლობაში ჩვენი გუნდი თავდაუზოგავად მუშაობს მტკნარი წყლის თევზების ინკუბაციაზე, მათი გამოზრდის ტექნოლოგიური მხარეების დახვეწაზე, სხვადასხვა სახეობების თევზების ერთწლიანების და სასაქონლო ცოცხალი თევზის მარკეტინგზე. ამიტომაც დაგვიგროვდა კიდეც დიდი მენეჯერული გამოცდილება.

როგორც გითხარით, ჩვენი კომპანია 1996 წლიდან მოქმედებს და ამ დროის განმავლობაში ყოველწლიურად სასაქონლო თევზის (კობრი, სქელშუბლა, თეთრი ამური)ძ წარმოების და რეალიზაციის პარალელურად სერიოზულ სელექციურ მუშაობას ეწევა მწარმოებელი ჯოგის შესაქმნელად და გასაუმჯობესებლად. მათგან ყოველწლიურად საინკუბაციო სამუშაოებით მიიღება ტბაში ჩასასმელი მასალა, რომლის ნაწილით (ერთწლიანებითძ თევზიანდებოდა ტბორები, ხოლო დანარჩენს (დაახლოებით 0,11 მილიონ ცალსძ ყიდულობდნენ კომპანიის მუდმივი კლიენტები. ბოლო ორი წლის განმავლობაში ტარდებოდა საცდელ-ექსპერიმენტული სამუშაოები ევროპული ლოქოს ლიფსიტის ქარხნული მეთოდით მისაღებად.

კომპანიის დანახარჯებმა დღეისათვის შეადგინა 7 ათასი დოლარი. 2007 წლის ინკუბაციაზე 3 კგ ლოქოს ქვირითის მიღების შემთხვევაში, რაც რაოდენობრივად 1 მილიონ ცალს შეადგენს, წლის ბოლოსათვის გადარჩება დაახლოებით 110 ათასი ცალი. მათ გამოსაკვებად გამოჩეკიდან 2007 წლის ნოემბრამდე საჭიროა 8000 დოლარის საკვები.

საერთოდ კომპანიის მთლიანი ბიუჯეტი აღნიშნული პროექტისათვის 20 ათას დოლარს შეადგენს. ნავარაუდევია, რომ 2008 წლის მარტის თვეში კომპანიას ეყოლება დაახლოებით 101 ათასი ცალი ევროპული ლოქოს ერთწლიანი, რომელთა საშუალო წონა იქნება 200-250 გრამი, მათგან ათას საუკეთესოს კომპანია დაიტოვებს, 100 ათასი ცალი კი გაიყიდება კომპანიის იმ მუდმივ კლიენტებზე, რომლებიც ყოველწლიურად ჩვენგან ყიდულობენ კობრის, სქელშუბლას და თეთრი ამურის ერთწლიან ჩასასმელ მასალას. სარეალიზაციო ფასი ერთწლიანი ევროპული ლოქოს ლიფსიტისა არის 1,2 დოლარი. ამით კომპანიის შემოსავალმა 17 თვის განმავლობაში უნდა შეადგინოს 120 ათასი, ხოლო სუფთა მოგებამ დაახლოებით 90 ათასი დოლარი. კომპანია სამი წლის შემდეგ ვარაუდობს სადღაც 500 ტონა ლოქოს წარმოებას და ის მთლიანად გაიყიდება. ბატონი გიორგის განმარტებით ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ბაზრიდან მთლიანად განიდევნება ასტრახანიდან შემოტანილი არასახარბიელო ლოქო. პროდუქციის უცხოეთში გატანაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობთ, როგორც ამ ქვეყნის შვილსა და ჩემს ბუნებაზე შეყვარებულ ადამიანს, **მირჩევნია ქართულ კომპანიებს მივყიდო იაფად, ვიდრე უცხოელებს – ძვირად. საჭიროა, ჯერ ჩვენი, ქართული ბაზარი გავაჯეროთ ჩვენი პროდუქტით და მერე ვიზრუნოთ უცხოელებზე.**

**ლალი ქინქლაძე**

◉ რეპლიკა

# ანგლოზა თუ კბილის მოსინჯვა?!

**ელდა ძნელად გადასატანია. ყოფილა კიდეც, ვერც გადაუტანიათ – შესწირვიან. სამწუხაროსაც და სასიხარულოსაც. დიახ, მოულოდნელობამ იცის ელდა. ელდამ კი – გულის ხეთქვა. ამიტომ უნდა შეამზადო კაცი, შეაპარო სასიხარულოცა და სამწუხაროც.**

სასიხარულოსი, აბა, რა გითხრათ. ისე დაგვაბეჩავეს, ვინმემ რომ მითხრას, უნდა გაგახაროო, ნაღდად „ასათიანის“ კლიენტი მეგონება. სამწუხარო კი...

გუშინ შინ მისულს ამბავი დამახვედრეს, ასე, 11 საათზე რომ გათიშეს გაზი, 16 საათზელა ჩართესო. შეწუხებულა, აფორიაქებულა ოჯახი, უკვე ხომ არ გვიწია „რუსეთის წყევლამო“ და „ყაზტრანსგაზის“ ცხელ ხაზს – 200404 – წყალწაღებულებივით ჩამოკიდებია. ჩამოკიდებულთ ხელები რომ დაეღალათ, უფრო ზუსტად, ჩვენი ტელეფონი რომ გავარვარდა ცხელ ხაზზე წარამარა ფუჭი რეკვით, კონფიდენციალურ ტელეფონზე (გაზის საფასურის გადახდის ქვითარზე ასეა მითითებულიძ – 200405-ზე დარეკეს. იქ კი, აშკარად რეკვით გაბეზრებულმა, მავანმა დასტაცა ხელი ყურმილს და იმედის, ნუგეშის მაძიებელთ ჯიქურ აჯახა, გაზი კარგა ორი დღეც არ გექნებათო...

რა იყო ეს – ანგლოზა, წავიშაყირებთ, დავზაფრავთო, თუ კბილის მოსინჯვა, ჩვენი ერთგვარი მოთელვა?

„ყაზტრანსგაზი“, მოარული ხმებით, უკვე ზაფრავს მოსახლეობას, აშინებს – ძველ მრიცხველებს ლაბორატორიებში გავგზავნით, ხომ იცით, ჯარიმა ოთუსბირიაო და მუქთად დასაყენებელ ახალ მრიცხველებში ფულსა სძალავსო. ამიტომ, ასეთი წაანგლებაც არ უნდა გაგვიკვირდეს. მით უფრო, რომ ე. წ. კონფიდენციალური ტელეფონი... სწორედ „ყაზტრანსგაზის“ არაკეთილსინდისიერ, გამომძალველ მუშაკთა გამოსავლენადაა განკუთვნილი და არა იმის გასარკვევად, გვექნება თუ არა გაზი. მაგრამ, გინდაც ასე „კეთილად“ ეხუმრათ, გინდაც კბილი მოესინჯათ, კოვზი მაინც ნაცარში ჩაუვარდათ, რადგან ჩვენი შეშინება, ფაქტობრივად, უკვე შეუძლებელია. პიტალო კლდე ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ჩვენ, ხალხი, ვუძლებთ. ჰოდა, რაღაც „ყაზტრანსგაზი“ რას მიქვია? ჩვენი ხელისუფლებისა და მთავრობის ფაფხურისა და ბაქიბუქის მიუხედავადაც, შინაგანად ხომ უკვე შემზადებულნი ვართ ზამთარში ჟრჟოლისა და კანკალისთვის? ჰოდა, უბედურებით ველარ დაგვზაფრავთ. ეს ელდა აღარ იქნება ჩვენთვის. ემანდ, ღმერთი არ გაგიწყრეთ და, არაფრით გაგვახაროთ, თორემ მერე ნახეთ შამპანურის ბათქა-ბუთქივით გულების ხეთქვა. თუმცა, ამ ხელისუფლების ხელში ეს, ვგონებ, არ უნდა დაგვემუქროს.



**კონსტანტინე გურგენიძე**

**● თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად უკვე გვაქვს სამამულო, ქართული სკა, რომელიც სხვა ქვეყნებსაც შეგვიძლია მივაწოდოთ.**



№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

◉ ხატის ბუზი

*„ფუტკარი – ეს მართლაც ღვთაებრივი არსება, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი შორეთიდან მოდის, მიწიერ სამყაროში სიცოცხლის ჩანასახის თანაზიარია და დღემდე პირველყოფილი ბუნება უცვლელი.*

*სამყაროს გამგებელმა დედამიწაზე პირველივე აღმოცენებულ ყვავილს ფუტკარი მიუჩინა მეგობრად და მეპატრონედ...“*

*საქართველოს მეფუტკრეობა ყოველთვის გამორჩეული იყო ძვირფასი, უნიკალური თავისებურებებით. მეფუტკრეობის განვითარება წარმოუდგენელია დარგის ტექნიკური წინსვლის, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე. სამწუხაროა, მაგრამ ბოლო ათეული წლის მანძილზე ეროვნული მეფუტკრეობის ტექნიკური ბაზა შესამჩნევად მოძველდა და შეცვლა-განახლებას საჭიროებს, ძველი ინვენტარი აუცილებლად ახლით უნდა შეიცვალოს. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხს ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობენ ოქროყანის მეფუტკრეობის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის თავკაცები, წამყვანი მეცნიერ-მუშაკები და სპეციალისტები – ი. რაზმაძე, ი. მუმლაძე, ვ. სტეფანიშვილი, თ. მუმლაძე, ჟურნალ „საქართველოს მეფუტკრეობის“ მთავარი რედაქტორი ფ. მურუსიძე და სხვები. მათი ერთობლივი ძალისხმევის მთავარი მიზანი ის გახლავთ, რომ მსოფლიოში ცნობილი ქართული რუხი ფუტკრისთვის შეექმნათ საქართველოს ბუნებისა და კლიმატური პირობების შესაბამისი ორიგინალური სამამულო (როგორც სტაციონარული, ასევე სამთაბარო) სკები, ასევე მეფუტკრეობისთვის საჭირო სხვა სახეობის ტექნიკური აღჭურვილობა, რაც დიდად წაადგებოდა ქვეყნის მეფუტკრეობაში შექმნილი ვითარების გამოსწორებას.*

# 1. ქართული მეფუტკრეობის ახალი არქიტექტურა



საბოლოოდ ამ საქმის გაძღოლა მეფუტკრეთა საზოგადოების აქტიურმა წევრმა, მოყვარულმა მეფუტკრემ, პროფესიით ჟურნალისტმა, მოგზაურმა **ნოდარ სივსივაძემ** ითავა, რომელიც საკითხის ზედმიწევნით ჩინებული მცოდნეა. წერილის შესავალში ნათქვამი სიტყვებიც სწორედ მისი წიგნიდან „ფუტკარი – ბუნების საოცრება“ არის აღებული. საქმე ის გახლავთ, რომ ბატონმა ნ. სივსივაძემ ორ ათეულ წელზე მეტი შესწირა ახალი სამამულო სკების შექმნასა და, ზოგადად, ქართული მეფუტკრეობის განვითარებას. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ბატონ ნ. სივსივაძის მიერ 1982-83 წლებში რაჭის სოფელ უწერაში დაწყებული საგამომგონებლო საქმიანობა წარმატებით აჭარაში დასრულდა, სადაც, ოთხი წლის წინათ, ქედაში შესაბამისი გამოფენაც მოეწყო. ქედის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ახალი სამამულო სკების ათი მოდელიც.

აღსანიშნავია, რომ გამოფენამ არა მარტო სპეციალისტების, არამედ ერთიანად საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მეფუტკრეობის ცნობილმა სპეციალისტმა, მეფუტკრეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ი. რაზმაძემ, ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, განაცხადა: **„ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში, სადაც ლექციების წაკითხვა მომიწია, მრავლი საფუტკრე მინახავს, მაგრამ მსგავსი არაფერი შემხვედრია. ასეთ სიახლეს ნამდვილად არ ველოდი“.** საგულისხმოა ისიც, რომ მსგავსი აღმატებული ტონი სხვა სპეციალისტების გამონათქვამებშიც გაისმოდა.

უნდა ითქვას, რომ ქედის შემდეგ მეფუტკრეობის სიახლეთა გამოფენა ჯერ მახინჯაურში, მერე კი ბათუმში ოთხი წლის მანძილზე გრძელდებოდა და ახლა მას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი ნ. სივსივაძე მეფუტკრეობის პოპულარიზაციასაც აქტიურად ეწევა – ბოლო ათწლეულის მანძილზე რესპუბლიკურ პრესასა თუ ელექტრონულ მედიაში დარგისადმი, მასში დანერგილი სიახლეებისადმი მიძღვნილი არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა და გადაცემა მიეძღვნა.

– ახლა დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდიუმმა ჟურნალ „საქართველოს მეფუტკრეობის“ რედაქციასთან ერთად წარმატებით გადაჭრა სამამულო სკების შექმნა-გამოგონების საკითხი, – ამბობს ამაგდარი მეფუტკრე, – **თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად უკვე გვაქვს სამამულო, ქართული სკა, რომელიც სხვა ქვეყნებსაც შეგვიძლია მივაწოდოთ.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამამულო სკების ავტორ-გამომგონებელია ბატონი ნოდარ სივსივაძე, ხოლო მისი მთავარი კონსულტანტი გახლავთ რესპუბლიკის დამსახურებული მეფუტკრე, ჟურნალ „საქართველოს მეფუტკრეობის“ მთავარი რედაქტორი ბუდუ მურუსიძე.

**რით გამოირჩევა ქართული სკა სხვებისგან? ნოდარ სივსივაძის გამოგონების მთავარი არსია სკაში აუცილებელი სამსაფეხურიანი ბუნებრივი აერაციის გზების მოწყობა, რაზეც სკის შიდა არქიტექტურის ყველა დანარჩენი ელემენტია დამოკიდებული.**

**აერაციის პირველი საფეხურია ფსკერის კიბისებრი კვეთი და იქ შექმნილი სუფთა ჰაერის დიდი რეზერვუარი, რისი წყალობითაც სკაში საჭირო მიკროკლიმატური გარემო იქმნება. სწორედ ეს გახლავთ გამოგონების მთავარი ელემენტი, რამაც საბოლოოდ გადაჭრა ფუტკრის ოჯახისთვის ისეთი საშიშროების წარმოქმნის პრობლემები, როგორიცაა ობი, ნესტიანობა. ამან ასევე მოსპო ფუტკრისთვის მეტად საშიში მიკრობების, ბაქტერიებისა და პეპლების გაჩენის კერები. შედეგად, ფუტკრის ოჯახები ზამთარს, ფაქტობრივად, დანაკარგის გარეშე ატარებენ.**

**მეორე საფეხურია ჩარჩოს თამასის ორიგინალური ჭრილი, რომელიც ჰაერის უწყვეტი მიმოქცევისთვის და ფუტკრის ფიჭიდან თავისუფლად გადაადგილებისთვისაა განკუთვნილი (სხვა კონსტრუქციებში ეს გზა გადაკეტილია).**

**მესამე საფეხური კი ჩარჩოების სათავე გახლავთ. ესაა გაშლილი, მთლიანად თავისუფალი ერთგვარი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, რომელიც სუფთა ჰაერის წრიული ციკლისთვისაა განკუთვნილი. ამ სივრციდან დაგროვილი ნახშირორჟანგი თავისუფლად განიდევნება და მაშინვე ახალი ჰაერით ივსება. ასაფრენ-დასაფრენი ზოლი მუშა ფუტკრების მთავარი სამოძრაო ადგილია, განსაკუთრებით ღალიანობის დროს. მანამდე ეს ადგილი მთლიანად დახშული იყო ჩარჩოებზე ზემოდან დაკრული ტილოთი, რაც ფუტკრის სამოძრაო გზებს კეტავდა. ამიტომ ფუტკრები ქვემოდან ჭრიდნენ ტილოს, ცხრილავდნენ მას, რათა სამოძრაო გზები ჰქონოდათ, რაშიც დიდ ენერგიასა და დროს კარგავდნენ. ბატონმა ნ. სივსივაძემ ეს დაბრკოლება ფუტკრებს მოაშორა და დასაკეცი ხვიარა ზემოდან გაუკეთა, რომელიც ზამთარ-ზაფხულ გამოიყენება. ახლა სწორედ ამ ხვიარის მეშვეობით, სკის ირგვლივ ფუტკრები ყველა მიმართულებით თავისუფლად მოძრაობენ.**

ხვიარას წყალობით მეფუტკრეს სკის დამუშავებაზე იმაზე ორჯერ ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე უწინ. მას შრომა გაუადვილდა, გარდა ამისა, მშვიდად მუშაობს, ვინაიდან ფუტკრების თავდასხმის შიში აღარ აქვს: გამოგონების ავტორმა მუშა ფუტკარს ხომ ადგილი ხვიარაში, სუფთა დინდგილის საკეთებლად მიუჩინა, რომლის გასაწმენდად დროის დაკარგვა და წვალება აღარ უწევს – იგი მას უკვე გასუფთავებულს აგროვებს.

**ოთარ ტურაბელიძე**



◉ ინფორმაცია

## რუსეთის გაწევრიანებას მხარს ვუჭერთ

საქართველო დაინტერესებულია რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით. ამის თაობაზე განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ბრიუსელში გააკეთა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, უმჯობესია, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი იყოს, რადგან ეს საქართველოს ინტერესებშიც შედის.

ზურაბ ნოღაიდელმა აღნიშნა, რომ რუსეთმა 2004 წელს აღებული ვალდებულებები უნდა შეასრულოს და საქართველოსთან ლეგალური საბაჟო-გამშვები პუნქტებით სავაჭრო ურთიერთობა აწარმოოს.

გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველო ნოემბერში მოლაპარაკებას დაიწყებს თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ, რაც ამ ქვეყანასთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების მთელ პაკეტს მოიცავს.

## დმანისელები უშუქოდ დარჩნენ

ძლიერი ქარის გამო, დმანისის რაიონის დიდ ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა.

დმანისის რაიონში გაწყვეტილია ელექტროგადამცემი ხაზები და წაქცეულია ბოძები, გამორთულია 110-კილოვოლტიანი ქვესადგურიდან „დმანისი“ გამომავალი ფიდერები: „კიროვისი“, „სვანსკი“, „ლოკჭანდარი“.

ამის შედეგად ენერგომომარაგება დმანისის რაიონის დაახლოებით 4 000 აბონენტს შეუწყდა.

**ინტერპრესნიუსი**

## „პანადოლი“ ჩვეულებრივ გაიყიდება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას პრეპარატ პანადოლის ხმარებიდან ამოღების შესახებ.

ჯანდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ პანადოლი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სამკურნალო საშუალებაა და მისი ერთი ხელის მოსმით ხმარებიდან ამოღება არ შეიძლება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ ბლოკადა

# ემბარგომ საქართველოს ტრანსპორტი დააზარალა

**რუსეთის მხრიდან გამოცხადებული ემბარგოს შედეგად საქართველოს ტრანსპორტის დარგში ბევრი გაუთვალისწინებელი პრობლემა წარმოიქმნა.**

„აღნიშნული პროცესების გამო, საქართველოს მიმართულებით ფრენების განხორციელება შეწყვიტეს რუსულმა დანიშნულმა ავიაკომპანიებმა „სიბირმა“ და „აეროფლოტმა“. იმ მომენტისათვის რუსეთის მიმართულებით 36 რეგულარული რეისები ხორციელდებოდა,“ – განაცხადეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.

რაც შეეხება სარკინიგზო ტრანსპორტს, 3 ოქტომბრიდან საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის თბილისი-ბაქო-მოსკოვის მიმართულებით საერთაშორისო სამგზავრო გადაზიდვები (ორი ვაგონი, სიხშირე – კვირაში სამი დღე) რუსეთის მხრიდან შეწყდა.

სამგზავრო გადაზიდვების შეჩერების შედეგად სარკინიგზო გადაზიდვები ოქტომბრის თვეში 1500-1800 მგზავრით შემცირდა.

ოქტომბრის დასაწყისში რუსეთის მხარის მიერ საქართველოს ნავსადგურებს, ფოთის, ბათუმისა და სოჭის ნავსადგურს შორის რეგულარული სამგზავრო მიმოსვლა შეწყდა.

აღნიშნული რეისები კვირაში 4-ჯერ ხორციელდებოდა.

აღნიშნული პერიოდიდან ქართულ სატვირთო ავტოტრანსპორტს, რომელიც გადაიზიდებოდა ფოთი-ნოვოროსიისკის ნავსადგურებს შორის არსებული საავტომობილო ბორნით, აეკრძალათ რუსეთის ტერიტორიაზე შესვლა.

„ფოთი-სოჭის, ბათუმი-სოჭის მიმართულებით რეგულარული სამგზავრო გადაზიდვების შეჩერებით ოქტომბრის თვეში მგზავრთნაკადი, სავარაუდოდ, 1200-1500 მგზავრით შემცირდა“.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# რეფორმის შუქ-ჩრდილები

- სკოლის დათვალიერებისას, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა...
- რატომ არ გააკარეს გაკვეთილს პრაქტიკანტი?

◉ მხარე

# ახალციხის მე-5 სკოლა — საუკეთესო სასწავლებელი

**მიმდინარე სასწავლო წელს საქართველოში სკოლების რემონტის ბუმი იყო. თუმცა მავანმა ხელისუფლებას ეს გულმოდგინება არ დაუფასა და ამ საქმისათვის გახარჯული მილიონები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოგებისათვის გამიზნულად ჩათვალა.**

როცა უყურებ ამ გამოკოპწიავებულ სკოლებს, საცხოვრებელი კორპუსების შეღებილ ფასადებს, ახალ გზებსა და სპორტულ მოედნებს, საქართველოს მასშტაბით განხორციელებულ ე. წ. დასაქმების პროგრამას, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მომატებულ პენსიებს, რომელმაც, გულახდილად რომ ვთქვათ, სოციალურად ძალზე გაჭირვებულ ფენას სული მოათქმევინა, თუ ეს „ბრალდება" ნაწილობრივ მაინც მართალია, ლამის ყოველწლიურად არჩევნები ვინატროთ.

* * *

სკოლების სარემონტო სამუშაოები სამცხე-ჯავახეთის მხარეშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში, ქ. ახალციხეში ყველა სკოლა რემონტდებოდა.

შემოდგომის თბილი, მზიანი ამინდები უკან დარჩა, ზამთარი თანდათანობით ძალას იკრებს, სამცხე-ჯავახეთის მხარე კი მკაცრი კლიმატური პირობებით გამოირჩევა. ვცადე გამერკვია, როგორ წარიმართა სარემონტო სამუშაოები სკოლებში და რა პირობებში ხვდებიან მოსწავლეები და პედაგოგები მკაცრ „ახალციხურ" ზამთარს. უპირველესად **ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს ქალბატონ ლია კობესაშვილს** მივმართე.

როგორც აღმოჩნდა, **სარემონტო სამუშაოები არც ერთ სკოლაში ბოლომდე არ არის მიყვანილი.** ერთადერთი „საჩვენებელი" სკოლა კი, სადაც მიმდინარე სასწავლო წლისათვის სამუშაოები ასე თუ ისე „დამთავრების ფაზაშია", და რაც მთავარია, ამ ზამთარს კლას-კაბინეტების გათბობა ცენტრალური გათბობის სისტემით მოხდება, ქ. ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლაა.

ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, „გაგონილს ნანახი სჯობიაო", დავყევი რესურსცენტრის უფროსის რჩევას და ქალაქის ცენტრში არსებულ №5 სკოლას ვეწვიე. სკოლის დათვალიერებისას, სიმართლე გითხრათ, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა და ჩემს პროფესიულ მოვალეობად ჩავთვალე, გაზეთის მკითხველებისთვისაც გამეცნო ახალციხის რაიონის ეს ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა.

ახალციხის რაიონში თავისი ისტორიით, ტრადიციებითა და სასწავლო პროცესით მე-5 სკოლა მართლაც გამორჩეულია. ის 1980 წელს, №1 საშუალო სკოლა-ინტერნატის ბაზაზე გაიხსნა. სკოლაში ამჟამად 1300 მოსწავლე სწავლობს, თანამშრომელთა რაოდენობაც საკმაოდ სოლიდურია — 112 კაცი.

სკოლის საინიციატივო ჯგუფმა შარშან ოქტომბერში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ამავე სკოლის ფიზიკის პედაგოგი, ცოდნით, სიდარბაისლითა და ენერგიით გამორჩეული ჟენია თუმანიშვილი აირჩია. ამ დროს სკოლას მართლაც ძალზე უჭირდა. სერიოზულად იყო მი-



სახედი შენობა-ნაგებობები, ეზო-გარემო, ჩავარდნები იყო სასწავლო პროცესშიც.

გაოცდებით, როცა ნახავთ, მოკლე ხნის მანძილზე რამდენი რამ გაკეთდა სკოლაში. ესაა მაგალითი იმისა, რამდენი შეუძლია ადამიანს, თუ მის საქმიანობაში შერწყმულია დაინტერესება, ენერგია, პროფესიონალიზმი. „ყველაფერში სკოლის დირექტორის პიროვნულმა ფაქტორებმა დიდი როლი შეასრულა. მისი საქმიანობა მისაბაძად უნდა იქცეს სხვებისათვის" — მიაჩნია მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მარინა სულაქველიძეს.

დავიწყოთ იმით, რომ სკოლის ყველა შენობას (სკოლა რამდენიმე კორპუსშია განთავსებულიძ სახურავი შეუცვალეს, დაფუტუროებული კარ-ფანჯარა თანამედროვე მეტალო-პლასტმასით შეცვალეს. მოწესრიგდა სკოლის ეზო-გარემო, სააქტო დარბაზი, სველი წერტილები, გაკეთდა სპორტული მოედნები, მათ შორის ერთი ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი და, რაც მთავარია, სკოლაში ამუშავდება ცენტრალური გათბობის სისტემა, რაც დიდი შეღავათია სოციალური პრობლემებით ისედაც შეჭირვებული მშობლებისათვის (არავისთვის უცხო არ არის, რომ საკლასო ოთახის გათბობისათვის შეშით მომარაგება მშობლების საზრუნავი იყოძ. მოსწავლე-მასწავლებლებისთვის დიდი პრობლემა იყო წვიმა: ეზოში დამდგარი წყლის გამო ეზო მთლიანად გაუვალი ხდებოდა. სანიაღვრე არხებმა ეს პრობლემაც მოაწესრიგა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლაში მოწყობილი შალვა ახალციხელის სახელობის სამლოცველო, რომელიც ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტმა თეოდორემ აკურთხა.

რაც შეეხება სასწავლო პროცესებსა და მეთოდებს, აქაც უამრავი სიახლე და მიღწევაა. „განათლების რეფორმიდან გამომდინარე, სწავლების გაუმჯობესების მიზნით თუ რამ პროექტი სადმე განხორციელებულა, ეს ჩვენი სკოლაა და პედკოლექტივი", — ამბობს სკოლის დირექტორი ჟენია თუმანიშვილი.

არ შეიძლება არ ვთქვათ ისიც, რომ დირექციისა და მშობელთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მოსწავლეებს ერთნაირი სასწავლო ფორმა აცვიათ (შემდგომში უფროსკლასელებიც ერთნაირი ფორმით ივლიანძ. „ჯერ ერთი, თვალს ახარებს ერთნაირი სასწავლო ფორმა, მეორე, და, რაც მთავარია, ჩაცმულობაში ბავშვებს შორის იმხელა განსხვავება იგრძნობოდა, რომ ერთგვარად დამთრგუნველად მოქმედებდა ხელმოკლე ოჯახის შვილებზე. დიდი მადლობელი ვარ სკოლის ხელმძღვანელობისა, რომ ეს დაპირისპირება მოსპო", — ერთიან აზრს გამოხატავს ერთ-ერთი მშობელი გიული ზედგინიძე.

სამომავლოდაც მრავალი გეგმა აქვთ სკოლის მესვეურებს. ზოგზე ღიად ისაუბრეს ჩემთან, ზოგის განხორციელება კი სიურპრიზად დატოვეს საზოგადოებისათვის.

დაბოლოს, ქალბატონ ჟენია თუმანიშვილის ერთ ღირსებაზეც მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. იგი მისაბაძი მეუღლე და ორი შესანიშნავი შვილის გამზრდელი დედაა. მისი ვაჟი გახლავთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი. როცა ვთხოვე რამდენიმე სიტყვა ეთქვა №5 სკოლის გამოჩენილ კურსდამთავრებულზე, ამაზე საუბარი კატეგორიულად არ ისურვა, მხოლოდ ის აღნიშნა, ასეთი შვილი საამაყოც არის და დიდი დარდიც დედისთვისო.

**მისთვის უხერხულობა რომ არ შემექმნა, კარგა ხანს ვყოყმანობდი ამ წერილის დაწერაზე, მაგრამ ბოლოს „კარგზე კარგი თუ არ ვთქვით" შეგონებით სამცხე-ჯავახეთის მხარის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა და მოამაგე დირექტორი მაინც წარმოგიდგინეთ.**

**ვერიკო მოდებაძე,**
„სრ" საკ. კორ.

◉ ინფორმაცია

## მემორანდუმი უნივერსიტეტსა და აკადემიას შორის

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

**მემორანდუმის გაფორმების ცერემონია უნივერსიტეტში შედგა და მას ხელი უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ და სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ მოაწერეს.**

**მემორანდუმის თანახმად, მხარეები ხელს შეუწყობენ თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას, სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი გარემოს ფორმირებას, უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტების სასწავლო პროცესზე თავისუფალ დაშვებას.**

ინტერპრესნიუსი

◉ „პრაქტიკა"

## გაკვეთილის ჩატარებას ვერ ვეღირსე

**უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გავიგეთ, რომ ჩვენ გვენიჭებოდა ბაკალავრის დიპლომი, რომლითაც უფლება გვქონდა, მეექვსე კლასიდან მეათემდე გვესწავლებინა, მეთერთმეტე კლასში სწავლება კი მაგისტრის დიპლომს მოითხოვდა.**

საჭიროდ ჩავთვალე სწავლის გაგრძელება და დეკანატში პროგრამა მოვითხოვე, რომლის მიხედვითაც გამოცდებისთვის უნდა მოვმზადებულიყავი. მითხრეს, პროგრამა აგვისტოს ბოლოსთვის გამოვა და გამოცდებიც შესაბამისად დაინიშნებაო. მალე გავიდა ზაფხულის ცხელი დღეები და უნივერსიტეტს მივაშურე. ისევ უარით გამომისტუმრეს. ერთ კვირაში გამოვა, კადრებია დასანიშნიო. მოკლედ, ყოველ კვირას დავდიოდი პროგრამის ასაღებად, მაგრამ ამაოდ, დღესაც არ გამოსულა სამაგისტროს პროგრამა.

უწინ ბაკალავრის დიპლომის ასაღებად საჭირო იყო პედაგოგიური პრაქტიკა. სტუდენტებს სკოლაში უშვებდნენ, გაკვეთილებს ატარებინებდნენ.

ერთი სული მქონდა, როდის დავამთავრებდი და სკოლაში წავიდოდი, უკვე მასწავლებლის თვალით შევხედავდი ყველაფერს. პრაქტიკის თაობაზე ისევ დეკანატს მივაშურე, სად უნდა გამევლო პრაქტიკა. მათ მითხრეს, პრაქტიკა გაუქმდა, არანაირი პრაქტიკის მიღება არ გჭირდებაო. თუ ძალიან გინდა პრაქტიკა, პედაგოგიურ კურსებს ვინც გიტარებდა, მას მიაკითხეო. გაოგნებულმა დავტოვე უნივერსიტეტი და ქალბატონ მიმოზა სოსელიას დავუკავშირდი, ვთხოვე, პრაქტიკის გავლაში დამხმარებოდა. მან გულთან მიიტანა ჩემი თხოვნა და დიდი წვალების შემდეგ საირმის ექსპერიმენტულ სკოლაში გამიშვა. ვიფიქრე, ოცნება ამიხდა — ერთი თვის განმავლობაში ერთხელ მაინც ჩავატარებ გაკვეთილს და დავინახავ იმას, რასაც ოთხი წელიწადი ვსწავლობდი-მეთქი, მაგრამ, ამაოდ, გაკვეთილებზე დავდიოდი, დავალებებს ვასწორებდი, გაკვეთილის ჩატარების დღე კი არადა არ დადგა.

პრაქტიკა ისე დამთავრდა, გაკვეთილის ჩატარებას ვერ ვეღირსე.



აქვე უნდა აღვნიშნო: ის კურსები, რაც ოთხი წლის წინათ ნებაყოფლობითი და უფასო იყო, დღეს კი აუცილებელი და ფასიანი გახდა — 150 დოლარი ღირს. მოგეხსენებათ, როგორ უჭირს ხალხს, ამოდენა თანხა საიდან მოვიტანოთ?!

**ნათელა სირაძე,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული.

◉ დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის" 14 ნოემბრის ნომრის მე-5 გვერდზე დაბეჭდილ გიორგი სვანიძის ინტერვიუში ლერი სიხარულიძესთან „რას ვაქნევთ მონარქიას „და" რაისად" — „ნეომონარქიას დიდ რუსეთთან ურთიერთობაში?" მე-4 სვეტის მე-5 აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:

**„დიახ, არცთუ — „უნებლიედ", რადგან არამცთუ უცხოელი კორესპონდენტების გასაგონად, არამედ მთელი მსოფლიოს გასაგონად ნათქვამი სანდრო ახმეტელის სიტყვები, რომ ქართველ ერს ებრაელი ერივით არ დასჭირვებია ბაბილონის კედლებთან ბიბლიური გოდება თავზედ დატეხილ გვემათა გამოო"...**

შემდეგ როგორც ტექსტშია.


რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-96-32; 899 328576


№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

● მაინც რაში დასჭირდა იოსებ ჯუღაშვილს დაბადების ნამდვილი თარიღის დამალვა?



◎ სიმართლე კი ასეთია

*იოსებ სტალინზე ბევრი იწერება, უეჭველია, მომავალში უფრო მეტი დაიწერება. არაფერი არ არის საკვირველი იმაში, რომ ობიექტური მემატიანე ჯერ კიდევ არ ჩანს (ცხადია, ასეთად მეც არ მივიჩნევ თავს). იოსებ სტალინის მოღვაწეობა ობიექტურად შეფასდება მაშინ, როდესაც რუსეთის ჭეშმარიტი ისტორია დაიწერება, ეს კი ძალზე შორეული მომავლის საქმეა. იოსებ სტალინი საქართველოში დაიბადა, აქვე დაიწყო მან პოლიტიკური მოღვაწეობა, აქვე გააკეთა არჩევანი, რომელმაც განსაზღვრა პირადად იოსებ ჯუღაშვილის ბედი, მისი სამშობლოს – საქართველოს ბედი, რუსეთის ბედი, მსოფლიოს ბედიც...*

# იოსებ ჯუღაშვილის არჩევანი

## „დაიბადა ექვს დეკემბერს, მონათლეს ჩვიდმეტ დეკემბერს“

### (დაბადების თარიღისათვის)

თბილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქ გორის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მღვდელმა სოლომონ ხახანაშვილმა **1878 წლის 17 დეკემბერს** მეტრიკული ჩანაწერების წიგნი გადაშალა და ოცდამეოთხე ნომრით ასეთი ჩანაწერი გააკეთა: **„Родился шестаго (6), а крещен семьнадцатого (17) декабря, Иосиф, родители его: житель г. Гори, крестьянин Виссарион Иванов сын Джугашвили и законная жена его Екатерина Гавриловна, оба православнаго вероисповедения. При крещении восприемником был житель г. Гори, крестьянин Михаил Шпоев сын Цихитатришвили. Таинство крещения совершал Протоперей Горийского Успенскаго Собора Соломон Хаханов с причетником Алексием Квиникадзе“**.

იოსებ ჯუღაშვილის დაბადების ზუსტი თარიღი დღემდე დადგენილი არ არის. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასახელებენ ორ თარიღს: **1879 წლის 21 დეკემბერს** და **1878 წლის 6 დეკემბერს.**

იოსებ ჯუღაშვილის ოფიციალურ ბიოგრაფიაში, რომელიც ავტორთა კოლექტივმა შეადგინა ი. პ. ტოვსტუხას ხელმძღვანელობით, მრავალი შეცდომა თუ უზუსტობაა გაპარული. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, უზუსტობაა გაპარული იოსებ ჯუღაშვილის დაბადების თარიღთან დაკავშირებით. ოფიციალური ბიოგრაფები მიიჩნევენ, რომ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი დაიბადა **1979 წლის 21 დეკემბერს.** XX საუკუნის 20-30-იან წლებში თვით იოსებ სტალინის ხელით შევსებული ანკეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იოსებ ჯუღაშვილი მართლაც 1879 წელს უნდა დაბადებულიყო. სათანადო საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ იოსებ ბესარიონის ძე სტალინი დაიბადა **1878 წლის 6 დეკემბერს.**

1902 წლის აპრილში იოსებ ჯუღაშვილი ჟანდარმერიამ დააპატიმრა ბათუმში. 1902 წლის 13 ივლისს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს გაუგზავნა ოფიციალური დოკუმენტი – ცნობა პასუხისგებაში მიცემული იოსებ ჯუღაშვილის შესახებ. ცნობაში მესამე კითხვის – **„Время рождания“** – გასწვრივ წერია: **„23 года“**. ამ მონაცემის მიხედვით გამოდის, რომ იოსებ ჯუღაშვილი დაბადებულა 1879 წელს (1902-23=1879). 1902 წლის 17 ივლისს ბათუმში ჟანდარმთა ცალკე კორპუსის პოდპოლკოვნიკმა **შაბილსკიმ** და ბათუმელმა ექიმმა **ელიავამ** შეადგინეს ასევე ოფიციალური დოკუმენტი **„Протокол примет“** პასუხისგებაში მიცემული იოსებ ჯუღაშვილისა. ოქმის მეორე კითხვის **„Дета“** გასწვრივ წერია: **„23 года“**. ამ მონაცემითაც იოსებ ჯუღაშვილი 1879 წელს უნდა დაბადებულიყო (1902-23=1879). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟანდარმერიას პასუხისგებაში მიცემული მოქალაქის წლოვანების აღმნიშვნელი ციფრი სათანადო გრაფაში შეჰქონდა თვით მოქალაქის ჩვენების საფუძველზე, მაგრამ შემდეგში ეს მონაცემი მოწმდებოდა. საბოლოოდ ჟანდარმერია დაბადების თარიღს დადგენილად ჩათვლიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღებდა ამონაწერს სამეტრიკო ჩანაწერის წიგნიდან, რომელიც ეკლესიაში ინახებოდა. იოსებ ჯუღაშვილის დაბადების თარიღიც ამ გზით დადგინდა. გორიდან თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს აცნობეს, რომ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი დაიბადა **1878 წლის 6 დეკემბერს.** იმავდროულად ჟანდარმერიამ მოიპოვა მეორე დოკუმენტი – თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის მმართველობის მიერ იოსებ ჯუღაშვილის სახელზე გაცემული ოფიციალური დოკუმენტი **„Свидетельство“**, რომელშიც აღნიშნულია, რომ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი დაიბადა **„в шестой день декабря месяца тысяча восемьсот семьдесят восьмого года“**.

იოსებ ჯუღაშვილი შემდგომი დაპატიმრების დროსაც თავისი ასაკის შესახებ ისეთ ციფრს ასახელებდა, რომ იგი 1879 წელს დაბადებული გამოდიოდა. 1909 წელს ბაქოში პატიმრობაში მყოფ იოსებ ჯუღაშვილის შესახებ შექმნილ ოფიციალურ დოკუმენტში კითხვის – **„Возраст“** – გასწრივ წერია: **„30 лет“**. ამ მონაცემის მიხედვით იოსებ ჯუღაშვილი 1879 წელს უნდა დაბადებულიყო (1909-30=1879). ჟანდარმერია ისევ დაეჭვდა იოსებ ჯუღაშვილის ჩვენების სისწორეში. 1911 წლის 20 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოდან გორში ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერს მომონოვს წერდნენ: **„Установи путем допроса проживаюшей в г. Гори модистки Екатерины Глаховны Джугашвили (уроженной Геладзе) и донести имеется-ли у нея сын Иосиф Виссарионов Джугашвили и в утвердительном случае в каком году и где он родился и в какой именно церкви крещен ея сын“**.

იმავე წლის 25 ოქტომბერს **გორის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის** წინამძღვარს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოდან წერდნენ: **„Прощу распоряжения о выдаче метрической выписи о рождении и крещении Иосифа Виссарионова Джугашвили“**. 24 ოქტომბერს გორში ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცერმა მომონოვმა დაჰკითხა იოსებ ჯუღაშვილის დედა **ეკატერინე (კეკე) გლახოს ასული ჯუღაშვილი (გელაძე)** და დაკითხვის ოქმი გაუგზავნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს. ოქმში ვკითხულობთ: **„... действительно е нее (Екатерины Джугашвили** – ვ. გ.**) есть сын Иосиф, 33-х лет, родился в гор. Гори, крестился в Горийском Успенском соборе“**. ე. ი. ეკატერინე ჯუღაშვილის ჩვენების მიხედვით, იოსებ ჯუღაშვილი 1878 წელს უნდა დაბადებულიყო (1911-33=1878). იგივე დადასტურდა გორის მიძინების ეკლესიის სამეტრიკო ჩანაწერების წიგნიდან გაკეთებული ამონაწერითაც, რომელიც გორიდან მიიღეს თბილისში.

ამრიგად, იოსებ სტალინის დაბადების თარიღად უნდა მივიჩნიოთ **1878 წლის 6 დეკემბერი**.

მაინც რაში დასჭირდა იოსებ ჯუღაშვილს დაბადების ნამდვილი თარიღის დამალვა? იოსებ ჯუღაშვილი 1902 წელს დააპატიმრეს ბათუმში. მას ბრალად ედებოდა ორი რამ: თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის წევრობა და 1902 წლის მარტში ბათუმში დემონსტრაციის ორგანიზება. იოსებ ჯუღაშვილს ჰქონდა შანსი, ორივე ბრალდებიდან თავის დაძვრენისა. ამასთან, მან კარგად იცოდა, რომ დაბადებული იყო 1878 წელს და როგორც სამხედრო ვალდებული 1900-1901 წლების გაწვევას ექვემდებარებოდა. ამდენად, იოსებ ჯუღაშვილისათვის შეიძლებოდა წაეყენებინათ ბრალდება – სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება. 1879 წელს დაბადებულს კი ასეთ ბრალდებას ვერ წაუყენებდნენ.



## პირველი მოწაფე

### (გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში)

იოსებ ჯუღაშვილი ქ. გორში დედასთან იზრდებოდა. მამას ოჯახი პრაქტიკულად მიტოვებული ჰყავდა. 1902 წლის ივლისში იოსებ ჯუღაშვილი ქ. ბათუმში დაჰკითხა ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს გამომძიებელმა. დაკითხვისას შედგა იოსებ ჯუღაშვილის ანკეტური მონაცემები. ანკეტაში მეთექვსმეტე კითხვა ასე იყო ფორმულირებული: **„Места постояннаго жительства родителей или заменяющих их родственников или опекунов“**. ამ კითხვაზე ასეთი პასუხია გაცემული: **„Мать живет в г. Гори, местожительство отца за последние 12 л. неизвестно“**. იოსებ ჯუღაშვილი არ ცრუობდა – მამა გორში იშვიათად ჩნდებოდა. თავდაპირველად ბესარიონ ჯუღაშვილი ცოლსა და შვილს მატერიალურ დახმარებას უწევდა, შემდეგ კი დახმარება შეწყვიტა. 1895 წლის 28 აგვისტოს თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ **სერაფიმის** სახელზე დაწერილ თხოვნაში იოსებ ჯუღაშვილი აღნიშნავს: **„Отец мой, уже три года, не оказывает мне отцовского попечения, в наказание того, что я, не по его желанию, продолжил образование“**. ბესარიონ ჯუღაშვილს შვილის თბილისის სასულიერო სემინარიაში კი არა, გორის სასულიერო სასწავლებელში შეყვანაც არ სურდა. ქმრის სურვილი მიუღებელი აღმოჩნდა ეკატერინე (კეკე) გელაძისათვის. დედას შვილის სასულიერო სასწავლებელში შეყვანა 1886 წელს უნდოდა, საჭირო საბუთებიც კი გაუმზადებია. მაგრამ ვერც 1886 წელს და ვერც 1887 წელს იოსებ ჯუღაშვილმა სწავლის დაწყება ვერ შეძლო. ცხადია, მიზეზი მატერიალური ხელმოკლეობაც იყო. კეკე ქმრის რისხვას არ შეუშინდა, საჭირო თანხაც იშოვა და 1888 წლის სექტემბრიდან იოსებ ჯუღაშვილი გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლას შეუდგა.

მამისაგან მიტოვებულ ოჯახს ეკონომიკურად ძალზე უჭირდა. 1894 წლის 29 სექტემბერს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ **სერაფიმის** სახელზე დაწერილ თხოვნაში იოსებ ჯუღაშვილი აღნიშნავდა: **„Мать моя находится в самом бедственном положении. Не имея имущества ни движимого ни недвижимого, она живет и содержит меня работой, которую часто не находит“**. კიდევ უფრო დამძიმდა იოსებ ჯუღაშვილის ეკონომიკური მდგომარეობა 1895 წელს. სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ **სერაფიმს** 1895 წლის 28 აგვისტოს იოსებ ჯუღაშვილი წერდა: **„В настоящее время, у матери моей ослабли глаза, впоследствие чего более не может заниматься ручным трудом (единственный источник дохода)“**.

გორის სასულიერო სასწავლებელში იოსებ ჯუღაშვილი კარგად სწავლობდა. სასწავლებელი 1894 წელს დაასრულა. ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იოსებ ჯუღაშვილმა სასულიერო სასწავლებელი დაასრულა **„первым учеником“**.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, კეკე გელაძემ შესძლო შვილის თბილისის სასულიერო სემინარიაში შეყვანა. არსებული წესის მიხედვით, სემინარიაში სწავლების გადასახადს არ იხდიდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილები. იოსებ ჯუღაშვლი ამ შეღავათით ვერ ისარგებლებდა. კეკემ როგორღაც მოახერხა და იოსებ ჯუღაშვილს სწავლების გადასახადი შეუმცირეს – გადასახადის ნაწილს საეკლესიო ხაზინა იხდიდა, დანარჩენი თანხა (40 მანეთი) კეკეს უნდა გადაეხადა. ეს კი ეკონომიკურ სიდუხჭირეში ჩავარდნილი ოჯახისათვის ადვილი არ იყო. იოსებ ჯუღაშვილს იმდენად უჭირდა, რომ ტანსაცმლის შესაძენი ფულიც კი არ გააჩნდა. 1894 წლის 29 სექტემბერს იოსებ ჯუღაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტ **სერაფიმს** წერდა: **“Посему всенижайше прошу вас, ваше высокоприподобие, выдать мне зимную одежду... и избавте меня от простуды и холода”**.

მომდევნო წელს კიდევ უფრო გაუჭირდა. სემინარიის პირველი კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ იოსებ ჯუღაშვილს მეორე კურსზე სწავლის გაგრძელების უფლებას არ აძლევდნენ. მას დაფარული არ ჰქონდა პირველი კურსის სწავლების გადასახადი, უფრო ზუსტად, სწავლებისთვის დაწესებული თანხის ნაწილი (40 მანეთი). 1895 წლის 28 აგვისტოს იოსებ ჯუღაშვილი სემინარიის რექტორს შეახსენებდა, რომ მას პირველ კურსზე სწავლების გადასახადი შეუმცირეს, მაგრამ დარჩენილი თანხის გადახდაც არ შეეძლო და სთხოვდა, ეპატიებინათ მისთვის 40 მანეთი. იოსებ ჯუღაშვილი სემინარიაში ან საეკლესიო ხაზინის ხარჯზე უნდა დარჩენილიყო, ან სწავლისათვის თავი უნდა დაენებებინა. ამიტომ იყო, რომ არქიმანდრიტ **სერაფიმს** სთხოვდა: **“Посему я вторично прибегаю к стопам Вашего Высокопреподобия и прошу покорнейше оказать мне помощ принятием на полный казенный счет, чем окажте величайшую милость”**. თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობამ იოსებ ჯუღაშვილის თხოვნა შეიწყნარა.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედვად, მამისაგან მიტოვებული და თბილისში სასწავლებლად ჩამოსვლის შემდეგ უკვე დედის სითბოსაც მოკლებული იოსებ ჯუღაშვილი კარგად სწავლობდა. იმდენად გულმოდგინე იყო, რომ 1894-1895 სასწავლო წელს (ანუ პირველ კლასში) არასაპატიო მიზეზით არც ერთი საათი არ გაუცდენია, საპატიო მიზეზით კი გააცდინა მხოლოდ 14 საათი.

სასულიერო სემინარიის პირველ კლასში იოსებ ჯუღაშვილი მხოლოდ შვიდ საგანს სწავლობდა. გარდა ამისა, უნდა დაეწერა ერთი თხზულება. სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებულ გამოცდებზე იოსებ ჯუღაშვილმა ასეთი შეფასებები დაიმსახურა: **წმინდა წერილი** – 5, **ბერძნული ენა** – 4, **ქართული საეკლესიო გალობა** – 5, **სიტყვიერება** – 5, **სამოქალაქო ისტორია** – 5, **მათემატიკა** – 5, **ქართული ენა** – 5, **თხზულება** – 4.

აღსანიშნავია, რომ იოსებ ჯუღაშვილი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში (1894 წლის სექტემბრიდან 1895 წლის მაისის ჩათვლით) ყოფაქცევაში ყოველთვიურად **უმაღლეს შეფასებას (5)** იმსახურებდა. ცხადია, წლიური შეფასებაც უმაღლესი (5) იყო.

მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში იოსებ ჯუღაშვილი ასევე დიდი მონდომებით სწავლობდა. სემინარიაში სწავლის ოთხი წლის განმავლობაში (1894 წლის სექტემბრიდან 1899 წლის მაისამდე) იოსებ ჯუღაშვილმა ოცი საგანი შეისწავლა და შემდეგი შეფასებები დაიმსახურა: **წმინდა წერილი, განმარტება** – ძალზე კარგი (4), **ბიბლიური ისტორია** – ძალზე კარგი (4), **ეკლესიის ისტორია** – კარგი (3), **ჰომილეტიკა** – ძალზე კარგი (4), **ლიტურგიკა** – ძალზე კარგი (4), **რუსული სიტყვიერება** – ძალზე კარგი (4), **რუსული ლიტერატურის ისტორია** – ძალზე კარგი (4), **მსოფლიოს სამოქალაქო ისტორია** – ძალზე კარგი (4), **რუსეთის სამოქალაქო ისტორია** – ძალზე კარგი (4), **ალგებრა** – ძალზე კარგი (4), **გეომეტრია** – ძალზე კარგი (4), **პასქალია** – ძალზე კარგი (4), **ლოგიკა** – ფრიადი (5), **ფსიქოლოგია** – ძალზე კარგი (4), **ქართული საეკლესიო საგნები** – ძალზე კარგი (4), **ბერძნული ენა** – ძალზე კარგი (4), **სლავური საეკლესიო გალობა** – ფრიადი (5), **ქართული საეკლესიო გალობა** – ძალზე კარგი (4). აი, ამ ცოდნით წავიდა იოსებ ჯუღაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიიდან. თუმცა იოსებ ჯუღაშვილის განათლება ამით არ დასრულებულა.

კეკე გელაძეს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მისი ერთადერთი შვილი მღვდელი გამოსულიყო. იოსებ ჯუღაშვილი დედის სურვილს ემორჩილებოდა და დიდი მონდომებით სწავლობდა როგორც გორის სასულიერო სასწავლებელში (1888-1894 წწ.), ისე თბილისის სასულიერო სემინარიაში (1894-1899 წწ.). როგორც ჩანს, სხვა მიზანი იოსებ ჯუღაშვილს იმხანად არ გააჩნდა. არჩევანის წინაშე იგი ცოტა მოგვიანებით დადგა.

**ვახტანგ გურული**

**(გაგრძელება იქნება)**

№ 218. საქართველო, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

● საერთაშორისო გაერთიანებამ მკაფიოდ დააფიქსირა, რომ სამხრეთ ოსეთი არის საქართველოს ნაწილი



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ბურჯანაძე აცხადებს, რომ რუსეთში ქართველთა უფლებები ირღვევა



**დსთ-ს წევრი-ქვეყნების პარლამენტების სამიტზე, რომელიც 15-16 ნოემბერს უნდა გაიმართოს სანკტ-პეტერბურგში, საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე აპირებს ხმამაღლა გამოაცხადოს რუსეთში ქართველების უფლებათა დარღვევის შესახებ, — აღნიშნა საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა, რუსეთში ქართველთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის მეთაურმა ნიკა გვარამიამ.**

„ბურჯანაძე ყურადღებას გაამახვილებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც ამას იმსახურებს, გაანალიზებს საქართველო-რუსეთის ამჟამინდელ ურთიერთობას“, — თქვა მან.

როგორც გვარამიამ განაცხადა, სამიტის მონაწილეებს უჩვენებენ მასალებს, რომლებიც ამჟამად გააჩნია რუსეთში ქართველთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემსწავლელ პარლამენტის საგამოძიებო კომისიას. გვარამია, როგორც ამ კომისიის ხელმძღვანელი, შედის ქართული დელეგაციის შემადგენლობაში.

ამის პარალელურად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საპარლამენტო კომისიასთან ერთად ამზადებს მასალებს სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში წარსადგენად. საქართველო აპირებს აღძრას სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს მოქალაქეებთან ურთიერთობაში ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო და მოითხოვოს მორალური და მატერიალური ზარალის კონპენსაცია.

**შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში რუსეთიდან მოხდა რამდენიმე ასეული საქართველოს მოქალაქის დეპორტაცია, რომელიც არალეგალურად იმყოფებოდნენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.**

АГЕНТСТВО МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ НОВОСТИ

## ბუშის ადმინისტრაცია სამხრეთ ოსეთის რეფერენდუმს არ ცნობს




**შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ბუშის ადმინისტრაცია არ ცნობს სამხრეთ ოსეთში გამართული რეფერენდუმის შედეგებს.**

„არა, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეს იყო ეგრეთ წოდებული რეფერენდუმი“, — განუცხადა ჟურნალისტებს ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა.

მან გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ 8 ნოემბერს ამერიკის საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ **„ამერიკის შეერთებული შტატები უარყოფს „რეფერენდუმს დამოუკიდებლობის შესახებ“ და ამის პარალელურად დაგეგმილ ეგრეთ წოდებულ „პრეზიდენტის“ არჩევნებს, რომლებიც 12 ნოემბერს უნდა გაიმართოს საქართველოს სამხრეთ ოსეთის რეგიონში“.**

**„შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. საერთაშორისო გაერთიანებამ მკაფიოდ დააფიქსირა, რომ სამხრეთ ოსეთი არის საქართველოს ნაწილი“,** — ხაზგასმული იყო მაშინ გავრცელებულ დოკუმენტში, რომელიც, მაკკორმაკის თქმით, კვლავ რჩება ძალაში.



**„მოვუწოდებთ ცხინვალსა და თბილისს, დაიწყონ უშუალო მოლაპარაკება ისეთი მშვიდობიანი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც განსაზღვრავს სამხრეთ ოსეთის სტატუსს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ამასთან, მიანიჭებს სამხრეთ ოსეთს მნიშვნელოვან ავტონომიას ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში“,** — აღნიშნულია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

АГЕНТСТВО МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ НОВОСТИ



## იმპერიის კოლოსები

**ზურაბ წერეთელი, დაბადებული 1934 წელს თბილისში, ეროვნებით ქართველი, 60-იანი წლების შემდეგ მოსკოვში ცხოვრობს. ჯერ საბჭოური, ახლა კი — პოსტსაბჭოური ხელისუფლების კარის მხატვარი, თავისი შემოქმედებით ხოტბა-დიდებას ასხამდა მმართველ წრეებს, ისინი კი, თავის მხრივ, არ აკლებდნენ ხელოვანს პატივსა და დიდებას. მაგრამ სადღეისოდ, ქართველთა მიმართ რუსეთში განხორციელებული რეპრესიების ფონზე, შემოქმედის პოზიცია სულ უფრო სუსტდება.**

— ომამდე წერეთლების ოჯახი ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, რომლის მშენებლობის დამთავრებაც ვერ მოასწრო ბაბუამ — იგი 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს, — განუცხადა მოქანდაკემ **„ნეზავისიმაია გაზეტას“** კორესპონდენტს. იმ დღეებს წერეთელი ახლა ხუმრობით და ირონიით იხსენებს, რაც, როგორც ამტკიცებს, ახლა ეს მას ჰაერივით სჭირდება.

ფერწერის ხელოვნებას იგი ეუფლებოდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ავტობიოგრაფიაში წერეთელი აღნიშნავს, რომ 1964 წელს სწავლობდა საფრანგეთში, სადაც შეხვდა მარკ შაგალს და პაბლო პიკასოს (უცნობია, თუ როგორ შეძლო მაშინ ზურაბმა სსრ კავშირიდან წასვლა, რადგან საზღვარგარეთ მოგზაურობის უფლება ბევრს არ ჰქონდაძ. 60-იანი წლების დამლევს იგი საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში და შეძლო თავისი ადგილის პოვნა საბჭოთა მონუმენტური ხელოვნების მიმდინარეობაში. ზურაბ წერეთელმა მუშაობა დაიწყო სსრ კავშირში ერთადერთ კაპიტალისტურ საწარმოში — მხატვართა კავშირში. ეს ორგანიზაცია ხელისუფლების დიდი მფარველობით სარგებლობდა და ახორციელებდა სარფიან კონტრაქტებს, პოლიტიკურ ხელმძღვანელთა პროექტებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მან თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა. 1970-80 წლებში წერეთელი იყო მთავარი მხატვარი საგარეო საქმეთა სამინისტროში. იმ წლებში იგი მუშაობდა „პრომეთეს“ ძეგლზე ნიუ-იორკისთვის, რომელიც არაფრით წააგავდა საბჭოური ყაიდის ქანდაკებებს. თავისი ალღოთი და უნარით წერეთელმა მაშინ კიდევ ერთხელ გააოცა მთელი მსოფლიო.

კომუნიზმის კრახის შემდეგ მან შექმნა ბრწყინვალედ მოქმედი ერთადერთი სამხატვრო საწარმო, რომელიც ახორციელებს კომპლექსურ სკულპტურულ მომსახურებას — ნამუშევრის პროექტის შექმნით დაწყებული და ხელისუფლების მხრიდან მის განხორციელებაზე თანხმობის მიღებით დასრულებული. მონუმენტური შემოქმედებისთვის რუსეთის დედაქალაქზე უკეთესი ადგილის წარმოდგენაც კი ძნელია — იქ კვლავ გაბატონებულია იმპერიული სტილი. მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, რომელიც დიდმპყრობელობის იდეის ერთგულია, წერეთელს ნებას რთავს, რომ თავისი კოლოსები დადგას მეტროპოლიის ყველაზე ხელსაყრელ და მომგებიან ადგილებში. გამოცანად რჩება მხოლოდ ის, თუ რა გასამრჯელოს იღებდა ამ მონუმენტების ავტორი, და როგორ ახერხებდა ყოველთვის მოეპოვებინა გამარჯვება საუკეთესო პროექტისთვის გამართულ კონკურსებში.

მოსკოვის ბოჰემას არ უყვარს წერეთლის კოლოსები; პეტრე პირველს იგი მოსკოვურ გოძილას უწოდებს. მხატვარი კი ამტკიცებს, რომ მისი შემოქმედების კრიტიკოსები წვრილმანი პოლიტიკანები არიან. ამასთან, წერეთელი დასძენს, რომ ის უბნები, რომლებშიც აღმართულია მის მიერ შექმნილი მონუმენტები, უკვე იქცნენ მოსკოვში ყველაზე ძვირადღირებულ ადგილებად (ბინების ფასი გაიზარდა იმ სახლებში, რომელთა ფანჯრებიდანაც მოჩანს პეტრე დიდის მონუმენტიძ.

იური ლუჟკოვიც არ ამახვილებს ყურადღებას წერეთლის მისამართით გამოთქმულ კრიტიკაზე და შემოქმედს უკვეთავს ახალ-ახალ ძეგლებს: ლედი დიანა, დედა ტერეზა და შარლ დე გოლი, აგრეთვე მართლმადიდებელ წმინდანთა ფიგურების ასლები მაცხოვრის ტაძრისთვის, რომელიც აღადგინეს სტალინის ბრძანებით აფეთქებული მე-19 საუკუნის ტაძრის ადგილზე.

წერეთელი უყოყმანოდ დათანხმდა განეხორციელებინა იალტის შეხვედრის ლიდერთა ძეგლის შეკვეთა. იგივე შეიძლება ითქვას ახმად კადიროვის (ჩეჩნეთის პრომოსკოვურად განწყობილი პრეზიდენტიძ და იური გაგარინის ძეგლებთან დაკავშირებითაც. წერეთელს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი: წმინდანებით და მეფეებით დაწყებული და მიკი-მაუსით დასრულებული, მთავარია, ეს მოსწონდეს ხელისუფლებას.

თვით მოსკოვის მერსაც დაუდგეს სიცოცხლეში ორი ძეგლი: ერთი სკულპტურული ნამუშევარი განასახიერებს ჩოგბურთელ — ლუჟკოვს, მეორე კი — მეეზოვე-მერს, რომელიც ქალაქის ქუჩებს ასუფთავებს. რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტიც აღმოჩნდა მხატვრის გალერეაში: სკულპტურა „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ წარმოგვიდგენს ძიუდოისტის კიმონოში გამოწყობილ პუტინს. **„ჩემი თვალით ვნახე პეტერბურგში, თუ როგორ იბრძოდა პუტინი ტატამზე, და ამან ისე შთამაგონა, რომ გადავწყვიტე მეჩვენებინა ამ ადამიანის ხასიათი — მისი სიბრძნე და პიროვნების შინაგანი ცხოვრება“,** — აღნიშნა წერეთელმა რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

რუსეთში მმართველებისთვის დადგმულ ძეგლებს მდიდარი ტრადიცია აქვს. სადღეისოდ პუტინის ბიუსტებს ამზადებენ არა მარტო მხატვრები, არამედ მეტალურგები და კონდიტერებიც კი, მაგრამ ხელისუფლებისაგან ისეთი ფართო მხარდაჭერით ვერავინ სარგებლობს, როგორც წერეთელი. იგი ქალაქის ქუჩებში დადის იმ მანქანებით, რომლებიც მოზეზრდა მერს (მხოლოდ შავი „მერსედესი“ და „როლს-როისი“ძ. პირდაპირი ტელეფონით ესაუბრება კრემლს. 2003 წელს რუსული ქანდაკების განვითარების საქმეში შეტანილი ღვაწლისთვის წერეთელმა პირადად პრეზიდენტისგან მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. მანამდე კი პოსტსაბჭოურმა ხელისუფლებამ იგი დანიშნა რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად (1997ძ და დაუჭირა მხარი მის იდეას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისა (1999ძ და ზურაბ წერეთლის ხელოვნების გალერეის შექმნის შესახებ (2000ძ. ორივე კოლექციაში დაცულია ოსტატის ნამუშევრები.



ერთი სიტყვით, წერეთელი რუსეთში ამჟამად მცხოვრებ მხატვართა შორის ყველაზე მდიდარი და პოპულარულია. იგი არის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიების წევრი. წერეთლის ქმნილებები შეიძლება ვნახოთ ნიუ-იორკში, რომში, ბარიში, მონტევიდეოში, სევილიაში. იგი არის ავტორი მონუმენტებისა, რომლებსაც მსოფლიოში მეორე და მესამე ადგილები უკავიათ თავიანთი სიმაღლით — „ქრისტეფორე კოლუმბი“ პუერტო-რიკოში (100 მ.ძ და „პეტრე პირველი“ მოსკოვში (96 მ.ძ.

ამ ცოტა ხნის წინ წერეთელმა შექმნა მონუმენტი „მწუხრის ცრემლი“, რომელიც ეძღვნება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების მსხვერპლთა ხსოვნას. ჯერსი-სიტის მცხოვრებთა პროტესტის მიუხედავად, ეს მონუმენტი აღიმართება ჰუძონის ყურეზე. წერეთელს მიაჩნია, რომ ხელოვნების ქმნილების ადეკვატურად აღქმას სჭირდება დრო, და ამიტომ, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს კრიტიკოსთა მოსაზრებებს.

მაგრამ, ამ ბოლო ხანებში შეურიგებელი კრიტიკოსების გარდა, ახალმა პრობლემებმაც იჩინეს თავი: კონტროლის პალატისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედება, რომელთა თანამშრომლებიც ამოწმებენ ყველა იმ კომპანიის ფინანსურ საქმიანობას, რომლებშიც ქართული კაპიტალი მონაწილეობს. სახელმწიფო მოხელეებმა წერეთელი დაადანაშაულეს რუსეთის სამხატვრო აკადემიის და სამორინე „კრისტალის“ (მხატვარი მისი ერთ-ერთი თანამშრომელიაძ ფინანსების უყაირათო ხარჯვაში, აგრეთვე მოსკოვის დისლეინენდის მშენებლობისათვის განკუთვნილი სახსრების გაფლანგვაში.

**ოფიციალურად ამას, თითქოს არ აქვს კავშირი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში წარმოქმნილ კრიზისთან, მაგრამ ამ ბოლო ხანებში დიდ პრობლემებს აწყდება ასევე რუსეთში მოღვაწე მეორე ცნობილი ქართველიც — მწერალი გრიგოლ ჩხარტიშვილი, რომელიც ბორის აკუნინის ფსევდონიმით უფრო არის ცნობილი.**

**პიოტრ ვლოვიაკი**
TYGODNIK POWSZECHNY
**პოლონეთი.**

№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576

## იზრდება გინესის რეკორდების წიგნი

**მსოფლიოში აღინიშნა გინესის რეკორდების მორიგი დღე. ამ კვირაში ათასობით ადამიანმა სცადა ძველი მიღწევების გაუმჯობესება. გთავაზობთ ზოგიერთ ახალ რეკორდს.**

**ყველაზე მახინჯი ძაღლი:** აფრიკულმა ქვიშის ძაღლმა ჩი-ჩიმ 7-ჯერ (!ძ გაიმარჯვა ყველაზე უშნო ძაღლის გამოსავლენ მსოფლიო კონკურსებში.

**ყველაზე ხანდაზმული ადამიანები:** ქალებს შორის რეკორდი ეკუთვნის 116 წლის მარია ესტერ დე კაპოვილიას, რომელიც ეკვადორში ცხოვრობს. მამაკაცებს შორის კი რეკორდსმენია 113 წლის პუერტორიკოელი ემილიანო მერკადო დელ ტორო. აღსანიშნავია, რომ ემილიანო შეერთებული შტატების არმიაში გაიწვიეს 1918 წელს, მაგრამ საომარ მოქმედებებში მან მონაწილეობა ვერ შეძლო, რადგან იმ დროისთვის დასრულდა პირველი მსოფლიო ომი.



**სქესის შეცვლის რეკორდი:** პერუელმა ფულვია სელიკა სიგუას სანდოვალმა 1979 წლის დეკემბრიდან გაიკეთა 64 ქირურგიული ოპერაცია სქესის შეცვლის მიზნით. ამ ქალბატონს 25-ზე მეტი ოპერაცია გაუკეთეს სახისა და კისრის არეში, დანარჩენები კი მიზნად ისახავდნენ ყურების ზომის შემცირებას, ფეხების ფორმის გაუმჯობესებას, ხელების ზედა ნაწილის ლიპოსაქციას და სხვა.

**ყველაზე დიდი კოლექცია:** ამერიკელმა შარლოტა ლიმ 1996 წელს იყიდა სამი რეზინის იხვისგან შემდგარი აბაზანის კომპლექტი. ახლა მისი კოლექცია 2583 იხვს აერთიანებს, რომლებსაც შარლოტა ინახავს შინ, სპეციალურ მინის კარადაში.

**უხუცესი დედა:** ბუქარესტის სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკაში 66 წლის ადრიანა ემილია ილიესკუმ საკეისრო კვეთის მეშვეობით შვა გოგონა – ელიზა.

გარდა ამისა, გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის მიზნით იაპონიაში გაიმართა ყველაზე მასობრივი ჩაის სმის ცერემონიალი, რომელშიც 14718 კაცი მონაწილეობდა, ავსტრალიაში კი „ჩემპიონმა“ ერთ წუთში მოასწრო 18 ქვედა საცვლის ჩაცმა.

# შპს „საქართველოს რკინიგზა“

## თავის ბალანსზე რიცხული ჯართის რეალიზაციის მიზნით აცხადებს აუქციონს

## ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ

**1. საჯართე რელსი 1200.93 ტონა**

მათ შორის:

ა) დასავლეთის სალიანდაგო დისტანცია – 578.863 ტონა.

გურიის რეგიონი – 313.288 ტ. რელსის ტიპი – რ65 – 304.888 ტ. რ50 – 8.4 ტ. აჭარის რეგიონი- 173.075 ტ. რელსის ტიპი – რ-65 – 79.625ტ. რ-50 –62.05ტ. რ-43 – 31.4ტ.

ზესტაფონის რაიონი – 92.5 ტ. რელსის ტიპი რ-65 – 92.5 ტ.

ბ) უღელტეხილის სალიანდაგო დისტანცია (ხაშურის რაიონი) 484.102 ტონა რელსის ტიპი რ-65 – 484.102 ტ.

გ) აღმოსავლეთის სალიანდაგო დისტანცია –137.966 ტონა. თბილისის რეგიონი – 74.086 ტ. რელსის ტიპი რ-65 –52.511ტ. რ-50 –14.825 ტ. რ-43 –6.75ტ. სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონი – 63.88 ტ. რელსის ტიპი რ-65 – 28.43 ტ. რ-50 – 20.25 ტ. რ-43 – 15.2 ტ.

საჯართე რელსების საშუალო სიგრძე 10-მეტრიდან 25-მეტრამდე. საწყისი სარეალიზაციო ფასი 186 144,30 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე). “ბე“-ს თანხა 55 000 ლარი, ბიჯი 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).

ბილეთის ფასი – 100 ლარი

**2. საისრე გადამყვანები 570.24 ტონა.**

მათ შორის:

ა) სამტრედია – 17.7 ტ; ბ) ბათუმი – 43.2 ტ; გ)ზესტაფონი – 213.075 ტ; დ)ხაშური –224.215 ტ; ე) თბილისი – 72.05 ტ;

საისრე გადამყვანების საწყისი სარეალიზაციო ფასი 88 387,20 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე). “ბე“-ს თანხა 25000 ლარი, ბიჯი 2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).

ბილეთის ფასი – 100 ლარი

**3. სხვადასხვა სახის ჯართი 277 ტონა.**

მათ შორის:

ა) ბათუმის სავაგონო დეპო – 25 ტ; ბ) სამტრედის სავაგონო დეპო –95ტ; გ)ხაშურის სავაგონო დეპო 103 ტ; დ) თბილისის სავაგონო დეპო – 54 ტ;

სხვადასხვა სახის ჯართის საწყისი სარეალიზაციო ფასი 30 470 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე). “ბე“-ს თანხა 9 000 ლარი, ბიჯი 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).

ბილეთის ფასი – 100 ლარი

**4. ლითონის ბურბუშელა და სხვა ნარჩენების ჯართი 444,6 ტონა.**

ჩატვირთული ვაგონებში

მათ შორის:

ა) ბათუმის სავაგონო დეპო – 27 ტ; ბ) სამტრედიის სავაგონო დეპო – 41 ტ; გ)ხაშურის სავაგონო დეპო – 145 ტ; დ)თბილისის სავაგონო დეპო – 225 ტ; ე)ხაშურის სალოკომოტივო დეპო – 4 ტ; ვ)სამტრედიის სალოკომოტივო დეპო-1 ტ; ზ)ქუთაისის სალოკომოტივო დეპო – 0.6 ტ. თ)თბილისი-მახარისხებელი – 1 ტ.

ლითონის ბურბუშელა და სხვა ნარჩენების ჯართის საწყისი სარეალიზაციო ფასი 48 906 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე). “ბე“-ს თანხა 14 000 ლარი, ბიჯი 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).

ბილეთის ფასი – 100 ლარი.

**5. ფერადი ლითონის ჯართი 9,392 ტონა.**

მათ შორის:

სპილენძის საკონტაქტო ქსელის გამტარი მფ-100, 8,642 ტ; სპილენძის გამტარი სხვადასხვა კვეთის 2.5 მმ-დან 4.0 მმ-მდე, 0.15 ტ; ალუმინის გამტარი ა-185 – 06ტ;

ფერადი ლითონის ჯართი განთავსებული – სამტრედიაში, ხაშურში, თბილისში, თეთრიწყაროს წევის ქვესადგურში.

ფერადი ლითონის ჯართის საწყისი სარეალიზაციო ფასი 49 148 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე). “ბე“-ს თანხა 14 000 ლარი, ბიჯი 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).

ბილეთის ფასი – 100 ლარი

***აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.***

განაცხადების მიღების ადგილი – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-53-20.

განაცხადების მიღების ვადა – განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით. აუქციონის ჩატარების დღემდე 10.00 საათიდან 17. 00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10.00 საათიდან 12.00 საათამდე.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 30 ნოემბერს, 14.00 საათზე, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები – „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.

***აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი***

სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა, არანაკლებ საწყისი ღირებულებისა.

***აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება***

საააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს მყიდველი, მეაუქციონე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და საააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ მყიდველს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.

აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.

აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, და ქონების მიღება-ჩაბარების აქტი. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მყიდველი.

ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის მყიდველის მიერ სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდის დღიდან.

ჯართის გატანასთან და აწონვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მყიდველი.

***გამოსასყიდი თანხის გადახდის ვადა***

მყიდველი ვალდებულია, დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მომსახურე საბანკო დაწესებულებაში (საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით) შეიტანოს ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

თუ მყიდველი აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ მიენიჭება საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.

საკუთრების უფლება სარეალიზაციო ქონებაზე მყიდველს გადაეცემა აღნიშნული ქონების ღირებულების სრულად დაფარვის და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

საბოლოო ანგარიშსწორება მყიდველსა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული პროდუქციის შესაბამისად.

***აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები***

დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზაციო ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს.

„ბე“-ს და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

საააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში მონაწილეს „ბე“-ს დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.

პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა რამდენიმე ქონების ცალკეული სახეობის ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს “ბე“ თითოეულ ქონებაზე, შეიძინოს “მონაწილის ბილეთი“ თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე და წარმოადგინოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე ცალ-ცალკე. აღნიშნულის შემდეგ მას მიეცემა ცალკეული სარეალიზაციო ქონების აუქციონის მონაწილის სტატუსი.

სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.

**საკონტაქტო ტელ: 56-33-48, 56-53-20**

**შპს „საქართველოს რკინიგზა“**

№ 218. სამშაბათი. 7 ნოემბერი. 2006 წელი.

● როგორი ფორმისა უნდა იყოს სხვადასხვა ბოსტნეული და ხილი ახალი წიგნის — „სექს-დიეტის“ ავტორის აზრით?



№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

◉ „იავნანას“ მადლი

# როცა ვარსკვლავი ობლებისთვისაც ანათებს

## გურამ საღარაძის ბენეფისი



**„ნუ გადადებთ სიკეთეს ხვალისთვის, დღეს შეგიძლიათ ადამიანის ბედი შეცვალოთ“, — ეს სიტყვები რეფრენივით გასდევდა მთელ საღამოს, რომელმაც პაატა ბურჭულაძის მოწოდებით „ერთად გადავარჩინოთ მომავალი“ კვლავ გააერთიანა სიკეთის მთესველნი, ამ შემთხვევაში დარბაზიც, სცენაც და ის ტელემაყურებელიც, ვინც პირდაპირი ეთერით საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეარხით თვალს ადევნებდა საღამოს მსვლელობას, რომლის გენერალური სპონსორი გახლდათ „ელიტ-ელექტრონიქსი“. ყველა ბილეთი უკლებლივ გაიყიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითოეული სკამის მფლობელმა თავისი წილი გაიღო ფონდ „იავნანას“ საქველმოქმედო აქციაში.**

სცენაზე კი იდგა საღამოს გმირი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი **გურამ საღარაძე,** მთელი სიცოცხლე სიკეთეს რომ თესავდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში განსახიერებული როლებით, მხატვრული კითხვით თუ თავისი ცხოვრებით, რადგან კარგად აცნობიერებდა ბრეხტისეულ შეგონებას: **„ყველა სიკეთე, რაც არსებობს დედამიწაზე, უპიროზოდ ეკუთვნის იმას, ვინც სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს თესავს“.**

გურამ საღარაძის ცხოვრებამ სცენაზე ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო მოიცვა. მისი განსახიერებული როლებიდან მსახიობს ყველა ერთნაირად უყვარს, აკი თავად ხშირად იტყვის ხოლმე, **„ყველა როლი საყვარელია, ისინი შვილებივით არის და განა შეიძლება შენი შვილებიდან რომელიმეს გამორჩევაო?“** მაგრამ გამოარჩევს მიხეილ თუმანიშვილის, რობერტ სტურუას დადგმულ საეტაპო სპექტაკლებს, მათ შორის, „როცა ასეთი სიყვარულიას“, „კავკასიური ცარცის წრეს“, „მეფე ლირს“ — ქართული თეატრალური ხელოვნების გარკვეულ ეტალონებს.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი ეტალონი „კავკასიური ცარცის წრე“ აირჩია მსახიობმა საბენეფისოდ — საქველმოქმედო აქციისთვის და თავის კოლეგებთან ერთად წარმოადგინა სცენები პირველი და მეორე მოქმედებებიდან. ამ საღამოს გურამ საღარაძემ ორი ნიღაბი მოირგო — ეფრეიტორისა და ბერისა და კიდევ ერთხელ აზიარა მაყურებელი ჭეშმარიტ პროფესიონალიზმსა და არტისტულ ღირებულებას.

საღამოზე მსახიობი კიდევ ერთხელ წარმოჩნდა როგორც მხატვრული კითხვის დიდოსტატი. მისმა სასწაულმოქმედმა ხმამ საუკუნეებიდან გამოიხმო რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, შანდორ პეტეფი, გალაქტიონი, ლადო ასათიანი, მიხეილ კვესელავა, მუხრან მაჭავარიანი.... გრძნობითა და ლიტერატურული მასალის მისეული გააზრებით წარმოდგენილი პოეზია თუ პუბლიცისტიკა, ამ საღამოს განსაკუთრებული აქტუალურობით ჟღერდა. ასეთ ემოციებს მონატრებული მსმენელიც საყვარელი მსახიობისთვის ოვაციას არ იშურებდა. დიახ, გურამ საღარაძის შემოქმედება არ ემორჩილება დროსა და ასაკს.

და ვიდრე მსახიობის სიყვარულისა და აღიარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა აღსრულდებოდა, სცენიდან საქართველოს სახალხო არტისტი ზინაიდა კვერენჩხილაძე, თათული დოლიძე, ჟანრი ლოლაშვილი, გურამ საღარაძის ქალიშვილი მარინე საღარაძე ხალისით ახმოვანებდნენ ფონდ „იავნანას“ აქციებისა და სამეგობროების მეშვეობით მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის გაღებულ სიკეთეებს.

კერძოდ ითქვა, რომ: **საქართველოს ბავშვთა სახლებში და სკოლა-ინტერნატებში მცხოვრები 5200 ბავშვიდან მხოლოდ 156-ია ობოლი. დანარჩენები კი იქ იმიტომ არიან, რომ მშობლებს მათი გამოკვება არ შეუძლიათ. სწორედ ამ ბავშვების ოჯახებში დასაბრუნებლად იქმნება „იავნანას“ სამეგობროები, რომლებშიც გაერთიანება შეუძლია ყველას, ვინც დარწმუნებულია, რომ ერთი წლის მანძილზე სტაბილური შემოსავალი ექნება. ყოველთვიური შემოწირულობა 10-30 ლარია. რაც მთავარია, სამეგობროს ყოველმა წევრმა იცის, რომელ დედას ეხმარება, რომელ ოჯახს აბედნიერებს. დღეისათვის მოქმედებს 22 სამეგობრო, რაც იმას ნიშნავს, რომ მზრუნველობის ქვეშ 76 ბავშვი იმყოფება.**

ამის ახალი მაგალითები ბევრი დასახელდა.

ზაფხულში ბათუმში გამართული საღამოსა და ტელემარათონით მიღებული შემოსავლით ხატიაშვილების მრავალშვილიან ოჯახს შეუძინეს ბინა. მისი გასაღები დიასახლისს გადასცა „ელიტ-ელექტრონიქსის“ გენერალურმა დირექტორმა ანზორ ქოქოლაძემ. „ცენტრ-პოინტის“ ჯგუფმა ბინა აუშენა სანადირაძეების ოჯახს. ითქვა მოჭადრაკე თამაზ გიორგაძის საქველმოქმედო მოღვაწეობაზე, ივა კუზანოვის კლინიკის სიკეთეებზე, გაჭირვებული სტუდენტებისთვის დანიშნულ სტიპენდიებზე და ა.შ.

ამ საღამოს პირდაპირი ეთერის მეშვეობით ცხრა ათასი ლარი შეემატა. ესე იგი, საზოგადოებამ ცხრა ათასი ლარი გაიღო მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის.

**საღამო დაგვირგვინდა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თბილისის მერიის თაოსნობით რუსთაველის თეატრის წინ გურამ საღარაძის ვარსკვლავის გახსნით. რამაზ ჩხიკვაძისა და მედეა ჩახავას ვარსკვლავთა გვერდით მან მართლაც ღირსეულად დაიმკვიდრა თავისი ადგილი...**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**ავტორის ფოტოები**





◉ ესეც ასე

# დიეტის ინგრედიენტებია ბანანი, ფორთოხალი, ყურძენი და... ნიახური

***სილამაზის დევნაში მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში ჭარბი წონის დაკლების უამრავ ხერხს მიმართავს, რასაც თანამედროვე მეცნიერება აქტიურად ეხმაურება და სულ ახალ-ახალ გახდომის საშუალებებს სთავაზობს მსუქნებს. არადა, სამწუხაროდ, ეს ხალხი საწადელს იშვიათად თუ აღწევს, რადგან სიმსუქნე, თავისი არსით, გენეტიკურადაა განპირობებული და მისგან თავის დაღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.***

მაგრამ, თუკი რამდენიმე კილოგრამის დაკლება გსურთ მარტივი და არასაზიანო ხერხით, თანაც სასარგებლოსა და სასიამოვნოს შერწყმა გსურთ, კარგ და, რაც მთავარია, ხშირ... სექსზე უკეთესი არაფერია.

„სრულფასოვანი ინტიმური ცხოვრება შესაძლოა, საუკეთესო დიეტა იყოს, რომელიც ოდესმე გიცდიათ“, — წერს კერი მაკლოსკის ახალი წიგნის „სექს-დიეტის საფუძვლების“ ავტორი, რომლის მაღაზიების დახლებზე გამოჩენას უახლოეს ხანში ელიან. მეტიც: ქალბატონ მაკლოსკის მტკიცე რწმენით, **ხშირი სექსი არა მარტო ხელს უწყობს გახდომას, არამედ სიცოცხლეს ახანგრძლივებს, აუმჯობესებს იმუნიტეტს, დეპრესიისგან იცავს და გულის კუნთს ამაგრებს.**

„კი, მაგრამ, ამაში ახალი რომ არაფერია“, — იტყვის მავანი და მართალიც იქნება, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანის ცხოვრების ინტიმურ მხარეზე დამყარებული გახდომის სპეციალური სისტემა აქამდე დამუშავებული არ ყოფილა. კერი მაკლოსკიმ კი სისტემაში მოიყვანა წინამორბედთა ნაშრომები და საგულდაგულოდ აღწერა წიგნში სხვადასხვა „სექს-ვარჯიში“, რომელიც მსურველებს ჩინებული ფორმის შენარჩუნებაში დაეხმარება.

ამასთან, ავტორი აღნიშნავს, რომ დიეტის ძირითადი დებულება **„სექსი გაცილებით ხშირი იყოს, ვიდრე, საშუალო სტატისტიკურ წყვილებს აქვთ“.** გარდა ამისა, იგი რჩევას იძლევა, წყვილებმა გაახანგრძლივონ ყოველდღიური სასიყვარულო ურთიერთობის დრო და გაზარდონ მათი ინტენსივობა. მაგრამ, მისი აზრით, თუკი სექსი „მოსაწყენ საქმიანობად“ გადაგექცევათ, ცხოვრებაში წარმატების მიღწევაზე ნურც იოცნებებთ.

მაგალითად, მაკლოსკი მკითხველებს დაბეჯითებით ურჩევს სექს-დიეტაში სხვადასხვა ბოსტნეულისა და ხილის შეტანას, რომლებსაც... „ფალოსური ფორმა აქვთ“, ვინაიდან ისინი არა მარტო აღმგზნებია, არამედ „ძალიან სასარგებლოც“. კერძოდ კი, ქალბატონი მაკლოსკი ახსენებს ნიახურს, ყურძენს, ფორთოხალსა და ბანანს. ამ უკანასკნელში კი ისეთი კომპონენტები შედის, რომ მამაკაცთა ერექტილურ ფუნქციას აძლიერებს. ქალებისთვის კი ძალიან სასარგებლოა ვეგეტარიანელობა, ვინაიდან ბოსტნეული და ხილი მრავალი ფერომონის შემცველია, რომელიც, მაკლოსკის მონაცემებით, ქალბატონებში სასიამოვნო აღგზნებას იწვევს. საგულისხმოა, რომ საქვეყნოდ ცნობილი ლამაზმანი პამელა ანდერსონიც ქალბატონებს ხორცზე უარის თქმას ურჩევს, თუკი სექსისგან განუმეორებელი შეგრძნების მიღება სურთ...

**მიჩიგანის უნივერსიტეტის თანამშრომლის, დოქტორ რობერტ ფრაიერის განცხადებით, „აღნიშნულ საკითხზე მრავალი წიგნი მხოლოდ ფულის შოვნის მიზნითაა დაწერილი და ადამიანებისთვის დახმარების გაწევას სულაც არ ისახავს მიზნად“. მაკლოსკის ოპუსი კი, მისი აზრით, ეს სწორედ ის არის, რაც ქალებსაც და მამაკაცებსაც ერთნაირად სჭირდებათ.**



- კაცი, რომელიც ყველას დაგვაკლდა, ოთხმოცისა გახდებოდა...
- წყალში ჩაძირული სასტუმრო და ოქროს მედალი

◉ ფეხბურთი

## როგორ დავხურავთ სეზონს?





**დღეს 21 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე „ჯვაროსნები“ სეზონის დასკვნით შეხვედრას მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებთან – ურუგვაელებთან გამართავენ.**

სტუმარ-მასპინძელი საქართველოს დედაქალაქისკენ ორი დღის განმავლობაში მოემგზავრებოდა და სრულად გუშინ შეიკრიბა. მიზეზი ლეგიონერთა სიმრავლე და ევროპული კლუბების გადატვირთული კალენდარია. არის სერიოზული საკადრო პრობლემებიც – თუ სამხრეთამერიკელებს ტრავმების გამო რეკობა, რეგეირო და ლუის გარსია არ ჩამოჰყვათ, მასპინძლებს ამავე მიზეზით კალაძე, ასათიანი, მუჯირი და, ალბათ, კანკავა დააკლდებათ. ვერ ვიხილავთ სარბიელზე აგრეთვე, შოთა არველაძეს, რომელიც ამიერიდან კლაუს ტოპმიოლერის გუნდს ასაკისა და მუხლის ქრონიკული ტრავმის გამო მხოლოდ ოფიციალურ შეხვედრებში დაეხმარება.

რაც შეეხება მეტოქეზე წარმოდგენას, ურუგვაელთა თავკაცმა ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა: **„ქართული ფეხბურთის შესახებ მწირ ინფორმაციას ვფლობ, რომელიც ევროპის ჩემპიონატის უკანასკნელი შესარჩევი მატჩების ნახვისას მოვიპოვეთ. ისიც ვიცით, რომ თქვენი რამდენიმე ფეხბურთელი სოლიდურ უცხოურ კლუბებში თამაშობს. ასე რომ, ვფიქრობ, ოთხშაბათს საინტერესო ბრძოლა გველის“.**

◉ მემორიალი

## უკვდავების ბინადარი

**ვის, თუ არა მას, შეეძლო ორი კვირის განმავლობაში მსახიობების, ჟურნალისტებისა და ვეტერანი ფეხბურთელების გაერთიანება.**

კოტე მახარაძეზე მოგახსენებთ, რომლის 80 წლისთავიც საზეიმოდ 17 ნოემბერს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დანიშნულ საიუბილეო სალამოზე აღინიშნება. ეს ზეგ მოხდება, მანამდე კი პოპულარული სპორტული კომენტატორის ნათელ ხსოვნას პატივი ტყავის ბურთის საშუალებით მიაგეს – ვაკის ღია სტადიონ „ირაოზე“ გამართული მშვენიერი ფინალური მატჩითა და ფეიერვერკით დასრულდა PSP ჯგუფისა და ხელოვნებისა და სპორტის საერთაშორისო ასოციაცია „გეორგიას“ თაოსნობით (თავმჯდომარე – **კახა მიგინეიშვილი**) ორგანიზებული ტრადიციული ტურნირი, ფართო დიაპაზონის შემოქმედის დაუვიწყარ თარიღს რომ მიეძღვნა.



ჩვენ უკვე გაუწყეთ, რომ ჯგუფურ რაუნდში სამაუწყებლო კომპანია **„რუსთავი-2“**-ის გუნდმა სენსაციური მარცხი აგემა მემორიალის მთავარ ფავორიტს – თბილისის **„დინამოს“** – 6:2. ბუნებრივია, თავმოყვარეობაშელახული გაბელია, კორღალიძე, ტყავაძე, ცაავა, ნემსაძე, ჯამარაული, ფირცხალავა, ჩიქოვანი და ჯოხაძე რევანშის აღებას გადამწყვეტ შეხვედრაში შეეცდებოდნენ. ასეც მოხდა – ძველმა გვარდიამ კიდევ ერთხელ გაიხსენა ახალგაზრდობა და მეტოქეს სამაგალითო გაკვეთილი ჩაუტარა – 5:2. რასაკვირველია, ძაბათაძება ყველას, მაგრამ განსაკუთრებულ დითირამბებს, ალბათ, მაინც ოთარ გაბელია იმსახურებს, რომელმაც გაუხუნარი ოსტატობა ამჯერადაც გამოამჟღავნა, როცა აკრობატულ ნახტომში მოიგერია ჭიტაძის დარტყმული პენალტი. ამ ეპიზოდის შემხედვარე ნოდარ ახალკაცი და კლაუს ტოპმიოლერი, იქნებ, მის ეროვნულ ნაკრებში მიწვევაზე დაფიქრდნენ (სხვათა შორის, ამას მთლად ხუმრობით არ მოგახსენებთ). სიმბოლურია, რომ ქალბატონმა **სოფიკო ჭიაურელმა** კოტე მახარაძის თასი სწორედ ჩინებულ მეკარეს გადასცა.

აქვე გაუწყებთ, რომ ფინალურ თამაშს წინ უძღოდა პანტომიმის თეატრის მსახიობთა გამოსვლა და მარჯანიშვილელთა ამხანაგური მატჩი ტურნირის მესამე პრიზიორთან – საზოგადოებრივი მაუწყებლის გუნდთან, რომელიც თეატრალებმა 7:5 მოიგეს.

დავძენთ, რომ სპეციალური პრიზები გადაეცათ მემორიალის გამორჩეულ მონაწილეებს: საუკეთესო ფეხბურთელს – **ოთარ კორღალიძეს**, მეკარეს – **ალექსანდრე კაპანაძეს** (საზოგადოებრივი მაუწყებელი), ბომბარდირს – **რამაზ უთურგაშვილს** („რუსთავი-2“, 21 გოლი) და მსაჯს – **გურამ პავლიაშვილს.**

◉ ფრენბურთი

## ჩინელთა კრახი



**იაპონიის ქალაქ ოსაკაში დღეს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები გაიმართება: ბრაზილია – სერბეთი, იტალია – რუსეთი. გამარჯვებულნი ხვალ გადამწყვეტ შეხვედრაში ოქროს მედლებს გაითამაშებენ.**

მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას – უძლიერესთა კვარტეტში ვერ მოხვდა ოლიმპიური ჩემპიონი – ჩინეთის ნაკრები, რომელმაც მეორე ჯგუფურ ეტაპზე უსუსური გამოსვლა ჰოლანდიელებთან მარცხით „დააგვირგვინა“.

გარკვეულწილად, სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე მასპინძელთა და კუბელთა სუსტი თამაში. რაც შეეხება აზერბაიჯანის გუნდს, მან დებიუტანტის კვალობაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

◉ ორბიტაზე

## შევჩენკოს ოჯახი იზრდება

**ლონდონის „ჩელსის“ ახალბედა უკრაინელ ფორვარდს ანდრეი შევჩენკოს მეორე ვაჟიშვილი შესძინა ლამაზმანმა ცოლმა, ცნობილმა ფოტომოდელმა კრისტენ პაზიკმა (ფოტოზე). დაუზუსტებელი ცნობებით, ახალშობილს კრისტიანს დაარქმევენ. პირველ ვაჟიშვილს კი ჯორდანი ჰქვია.**

ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, თუ რამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იტალიური „მილანიდან“ ლონდონში გადასული თავდამსხმელისა და ბომბარდირის ერთგვარად ხელ-(თუ ფეხ) მოცარულმა სტარტმა ახალ გუნდში. ალაპარაკდნენ იმაზეც, თითქოს „მილანის“ პრეზიდენტის სილვიო ბერლუსკონის თქმით, ანდრეი იტალიაში დაბრუნებას აპირებსო, რაც დამაჯერებლად უარყო თავად ფეხბურთელმა. ხოლო „მილანის“ სხვა მესვეურების განცხადებით – „ეს ტექნიკურად შეუძლებელია“.




◉ თაოზა

## ფათერაკებს გადარჩენილი ჩემპიონი

კარზე ბრახუნი გაისმა.

– ლაშა ვარ, სასწრაფოდ ადექით და ჩაიცვით.

**გოგონებმა სიბნელეში ძლივს მოიძიეს ტანსაცმელი. გაოგნებულები მთქნარებით გამოვიდნენ დერეფანში, რომელსაც სანთლების მკრთალი შუქი ანათებდა.**

**– რა მოხდა? – ყველას ერთად აღმოხდა მწვრთნელის დანახვაზე.**

**– გადაიხედეთ ფანჯრიდან და თავად მიხვდებით...**

მიწა არ ჩანდა. წყალს დაეფარა ირგვლივ ყველაფერი. სასტუმროს პირველი სართულიც მთლიანად წყალში იდგა. ქვაბები, თეფშები და სხვა უცხო საგნები ტივტივებდა ზედაპირზე. სიბნელეში ჭირდა ყველაფრის გარჩევა. შიშისგან აკანკალებულმა გოგონებმა ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ატირდნენ არავის ეცალა მათ დასაწყნარებლად...

ჰერცეგ ნოვიში დილიდანვე კოკისპირულად და გადაუღებლად წვიმდა. ქალაქში ბევრი ადგილი კი დაიტბორა, მაგრამ ამგვარ საშიშროებას არავინ ელოდა. სამსართულიან სასტუმროს, რომელშიც 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობის მონაწილეთა დიდი ჯგუფი იყო დაბინავებული, რამდენიმე მეტრში პატარა მდინარე ჩამოუდიოდა. წვიმებისგან გაშმაგებული ნაპირებიდან გადმოსულიყო და ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდა.

**– შუაღამისას გამოიდარა და წყლის დონემაც კლება დაიწყო, – მითხრა ამ ამბების მომსწრე მარიამ დანელიამ. – ჩვენც დავმშვიდდით, მაგრამ შეშინებულებს რა დაგვაძინებდა. საწოლებზე გაუძრევლად ჩამომსხდარმა გავათიეთ ის ღამე. მეორე დილით ქალაქის მთავარ სასტუმროში წაგვიყვანეს სასაუზმოდ, რადგან ჩვენი რესტორანი წყალდიდობამ გაანადგურა.**

**შეჯიბრების ბოლო ტურიც ერთი საათით გვიან დაიწყო. გადამწყვეტი შეხვედრა რუმინელ მიქაელა-ვერონიკა ფოიშორთან მქონდა. მართალია, მთელი ღამის უძინარს საჭადრაკო დაფასთან მეყვინთებოდა, მაგრამ ის პარტია მაინც მოვიგე.**

ჰერცეგ ნოვიში მარიამმა ხუთ პარტიაში წარმატებას მიაღწია, ოთხი ყაიმით დაამთავრა და 7 ქულით სერბ ანდრეა ვინცესთან მეორე-მესამე ადგილები გაიყო. უარესი კოეფიციენტით ბრინჯაოს მედალი ხვდა. 7,5 ქულით ჩემპიონობა მერი არაბიძემ მოიპოვა.

**– ჩემი ევროპული კურიოზები ამით არ დამთავრებულა, – მიყვება ლაპარაკის ეშხში შესული მარიამი, – შეჯიბრების შემდეგ შინ დასაბრუნებლად ბელგრადის აეროპორტში გავემგზავრეთ. ის იყო, თვითმფრინავი ასაფრენ ზოლზე გავიდა და სიჩქარეს უმატა, რომ პარაშუტებით გააჩერეს. მერე შევიტყვეთ, რომ თვითმფრინავის ოთხიდან სამი ძრავი მწყობრიდან გამოსულა. აფრენა რომ მოესწრო, კატასტროფას ვერ გადავურჩებოდით...**

მარიამ დანელია 12 წლისაა (1994 წლის 24 იანვარს დაიბადა თბილისში). ჭადრაკის თამაში ხუთი წლისამ ისწავლა. სხვადასხვა დროს ლელა თანდაშვილი, მაყვალა ხანთაძე, გოგი მაჭარაშვილი და ალეკო ბოკუჩავა ავარჯიშებდნენ. მესამე წელიწადია ლაშა ჯანჯღავასთან მეცადინეობს.

შეჯიბრებებში 2000 წლიდან მონაწილეობს. თბილისისა (2002 წ.) და საქართველოს ორგზის (2003,2005 წ.წ.) ჩემპიონია თანატოლებში. შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ფესტივალებზე პირველი (2002 წ.) და მესამე (2001 წ.) ადგილები ხვდა. ნონას თასის გათამაშებაზე ორჯერ ყველას აჯობა, ამდენჯერვე მესამე (2004,2006 წ.წ.) ადგილები დაიკავა. წლევანდელი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა თანატოლთა შორის მსოფლიო პირველობებზე სამჯერ იასპარეზა: 2003 წელს IV ადგილი დაიკავა, შარშან მესამე იყო, წლეულს კი ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი.



**– ბათუმში კარგად მომზადებული ჩავედი, – მითხრა მარიამმა. – მაგრამ მეორე ტურში მოულოდნელად ყაიმით დავამთავრე შეხვედრა ირანელ ნიოუშა ავშართან. ეტყობა, ამან დადებითად იმოქმედა ჩემზე და შემდეგ ზედიზედ შვიდ მეტოქეს ვძლიე. 9 ტურში 8,5 ქულა მოვაგროვე და უახლოეს მდევარს – მოლდოველ დიანა ბასიუს ქულანახევრით ვუსწრებდი. მეათე ტურში მე და დიანა გვერდიგვერდ ვისხედით. ცალი თვალი მისი პარტიისკენ მეჭირა. აზერბაიჯანელმა საბინა იბრაჰიმოვამ მოლდოველს რომ მოუგო, სიხარულმა ამიტაცა – ორი დარჩენილი პარტიის მიუხედავად, ჩემპიონი გავხდი. ემოციები ვერ მოვთოკე. თვალები ცრემლით ამევსო, დაფას და ფიგურებს ვერ ვხედავდი. ერთი სული მქონდა, პარტია დამემთავრებინა და დედიკოს მოვხვეოდი. ისეთი შეცდომები დავუშვი, დამწყებ მოჭადრაკეს რომ არ მოუვიდოდა, მაგრამ მაშინ ამაზე არც მიფიქრია. ის პარტია წავაგე თუ არა, დარბაზიდან გავვარდი. ფოიეში დედა და ლაშა მასწავლებელი მელოდნენ. – გამარჯვება მომილოცეს (ეს წარმატება ორმაგად გაუხარდებოდა ლაშა ჯანჯღავას – როგორც მარიამის მწვრთნელს და დანელიების სიძეს – ვ.დ.). იმ დღეს სოფიკო გურამიშვილმაც მოიპოვა ოქროს მედალი. ბათუმელმა სალომე მელიამ ორივენი შინ მიგვიწვია და იქ აღვნიშნეთ ჩემპიონობა. თან სალოს ოცწლიანთა მსოფლიო პირველობაზე აღებული ბრინჯაოს მედალი მივულოცეთ.**

***– მარიამ, მსოფლიო ჩემპიონი ხარ. რა შეიცვალა ამით შენს ცხოვრებაში?***

– მშობლები და ახლობლები გავახარე. მე კი უბრალოდ, პასუხისმგებლობა მომემატა. აქამდე საპრიზო ადგილები თუ წარმატებად მეთვლებოდა, ახლა ვალდებული ვარ, მხოლოდ ტიტულის შესანარჩუნებლად ვიბრძოლო.

***– თანაკლასელები როგორ შეგხვდნენ?***

– ბათუმში ბევრი მეგობარი მირეკავდა და იცოდნენ ჩემი წარმატების შესახებ. მსოფლიო პირველობიდან დაბრუნებისთანავე სკოლაში წავედი (მარიამი თბილისის 61-ე საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელია). შესასვლელთან დაწყებითი კლასების მასწავლებელმა ინეზა გაბუნიამ, შემდეგ სკოლის დირექტორმა – ქალბატონმა მაია გეგენავამ და კლასის დამრიგებელმა ელიკო მასწავლებელმა მომილოცეს გამარჯვება. თანაკლასელებმა ოვაციები მომიწყვეს. ძალიან გამიხარდა, ბედნიერი ვარ, რომ მათი იმედები გავამართლე. სკოლის თანადგომის გარეშე სწავლისა და ჭადრაკის შეთავსება ხომ ძალიან გამიჭირდებოდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო თბილისის მერს ბატონ გიგი უგულავას. რომ არა ბატონ გიგის ფინანსური მხარდაჭერა, მსოფლიო და ევროპის პირველობებისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადებოდი...

***ეიფორია დამთავრდა. ნიჭიერი გოგონა მარიამ დანელია ისევ სამოცდაოთხუჯრიან დაფასთან ზის და გულდასმით ჩაჰკირკიტებს ჯადოსნურ ფიგურებს. წინ ახალი ორთაბრძოლებია.***

**ვაჟა დანელია**


№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

- არალიცენზირებული უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემული დიპლომები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც უკანონოდ ითვლება
- ღვინის კომპანია „ბადაგონის“ პრეზიდენტი თემურ უბილავა კომპანიაში ფინანსური პოლიციის შესვლას გაუგებრობას უწოდებს



◎ არის ასეთი აზრიც

# სუამის ქვეყნების პერსპექტივები

**ევროკავშირის გერმანული საბჭოს საგარეო პოლიტიკის რუსეთისა და დსთ-ის ქვეყნების პროგრამების დირექტორი ალექსანდრ რაპი პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციის თემას ეხმაურება და აცხადებს, რომ დასავლეთის ლიბერალური ფასეულობები თბილისის, კიევის, ბაქოსა და კიშინიოვისთვის მიმზიდველია.**

— სუამის ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნები — საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა სურვილს გამოთქვამენ მომავალი ევროკავშირს დაუკავშირონ და დიდი ევროპის შემადგენელი ნაწილი გახდნენ. ამ ქვეყნების პოლიტიკურ ელიტაში არსებობს შეგნება იმისა, რომ თუკი დასავლეთ ევროპის ნაწილი არ გახდებიან, მათ აუცილებლად გადაყლაპავს რუსეთი. თუმცა, სუამის წევრ ყველა ქვეყანაში არსებობს შიდა პრობლემები, რომლებიც არ იძლევიან საშუალებას, საკუთარი ბედი ევროპას დაუკავშირონ, — აღნიშნავს ექსპერტი.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ საქართველოსა და მოლდოვას სახელმწიფოებრიობა ჯერაც არ შემდგარა.



— ჯერჯეროებით, სრულიად არ შემდგარა ისეთი ქვეყნების სახელმწიფოებრიობა, როგორებიც არიან საქართველო და მოლდავეთი. ამ ქვეყნების ზოგიერთი ტერიტორიები არ მიიჩნევენ თავს მათ განუყოფელ ნაწილად და ოცნებობენ გამოყოფაზე. ბალკანეთის ნახევარკუნძულს დასავლეთი ევროკავშირის წევრად მიიჩნევს. ევროკავშირის წევრობის სანაცვლოდ სერბეთი და კოსოვოც მშვიდობიან გაყრაზე დათანხმდებიან, — აცხადებს ექსპერტი.

მისი თქმით, აფხაზეთსა და დნესტრისპირეთთან დაკავშირებით ევროკავშირს არ შეუძლია იგივე ქმედება განახორციელოს.

— მოლდავეთს, რა თქმა უნდა, აქვს თეორიული შანსი მოხვდეს ევროკავშირში, რუმინეთთან გაერთიანების შემთხვევაში. თუმცა, გაურკვეველია, რა უნდა ქნას დნესტრისპირეთმა, რუსეთს მიუერთდეს, თუ უკრაინას. აზერბაიჯანს მიეცა შესაძლებლობა მიეკედლოს ევროკავშირს, იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთიც ევროკავშირის წევრი გახდება, — აღნიშნავს რაპი.

მისივე პროგნოზით, თურქეთი ევროკავშირის წევრობის პერიოდში ყოველ ღონეს იხმარს ამ ორგანიზაციაში აზერბაიჯანიც გააწევრიანოს, როგორც ამას პოლონეთი უკრაინასთან მიმართებაში აკეთებს.

უკრაინაზე საუბრისას ევროპარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკა აღნიშნავს, რომ უკრაინა შეძლებს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონას მიუერთდეს.

— უკრაინას შეუძლია შეუერთდეს შენგენის ზონას, თუკი იგი დახურავს რუსეთთან საზღვრებს. თუმცა, უნდა ვიყოთ რეალისტები. ევროკავშირის დღევანდელ ხელმძღვანელობას არ აქვს პოლიტიკური ნება და სურვილი, პოსტსაბჭოთა სივრცის ხარჯზე გაფართოვდეს. დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეებს არ სურთ გადაიხადონ ღარიბი მეზობლებისთვის, რომლებიც მათ ართმევენ არა მხოლოდ ფულს, არამედ სამუშაო ადგილებს, — აღნიშნავს ევროპარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკა.

მისივე განმარტებით, რუსეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს აფრთხობს თავისი ზეწოლით გაზის სფეროში და დსთ-ის ქვეყნები სხვადასხვა მიმართულებით გარბიან.

— ცენტრალური აზიის ქვეყნები აძლევენ სიგნალს ევროკავშირს, რომ მათ აქვთ სურვილი ჩაერთონ ევროპულ ენერგეტიკულ ალიანსში. თუმცა, ცენტრალური აზიისთვის ევროკავშირთან დაკავშირება უკვე გვიანია. იქ მთელი ძლიერებით ვლინდება არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ჩინეთისა და ინდოეთის გავლენაც, — განმარტავს ექსპერტი.

**ХИ-ЭИВ-ЭНИ**

## სალიცენზიო პირობებს შეამოწმებენ

**განათლების სამინისტრომ თხოვნით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რათა არალიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა შეამოწმდეს, — ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თეიმურაზ სამადაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

მოქმედი კანონმდებლობით, ლიცენზიის გარეშე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

— განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ცნობილი გახდა, რომ თბილისში მოქმედი მოსკოვის ეკონომიკის, სტატისტიკისა და სამართლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი და კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი საქმიანობას ლიცენზიის გარეშე ახორციელებენ. ეს სასწავლებლები აცხადებენ აბიტურიენტთა მიღებას და მცდარ დაპირებებს აძლევენ მოქალაქეებს, თითქოს სახელმწიფოს მხრიდან მათი დიპლომები და სტატუსი აღიარებულია, — განაცხადა სამადაშვილმა.

მისივე თქმით, ამ დაწესებულებების წარმომადგენლები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საქმე გვაქვს არა ფილიალის უნებართვო საგანმანათლებლო საქმიანობასთან, არამედ წარმომადგენლობასთან.

— საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აბიტურიენტებს, სტუდენტებსა და მათ მშობლებს განუმარტავს, რომ „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით, უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფილიალი საჭიროებს ლიცენზირებას და აკრედიტაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, — აღნიშნა სამადაშვილმა.

მინისტრის მოადგილის თქმით, არალიცენზირებული უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემული დიპლომები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც უკანონოდ ითვლება.

## ანა დოლიძე გიორგი ჩხეიძემ შეცვალა



**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ ახალი თავმჯდომარე ჰყავს.**

ორგანიზაციამ გამგეობის თავმჯდომარედ გიორგი ჩხეიძე, თავმჯდომარის მოადგილედ კი ლალი ჩხეტია აირჩია.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წესდების თანახმად, გამგეობის თავმჯდომარე ერთი წლით ირჩევა. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს თავმჯდომარეზედიზედ ორჯერ.

ანა დოლიძე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას 2004-2006 წლებში თავმჯდომარეობდა.



## გადამზადების მორიგი ეტაპი დაიწყო

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების, რუსთავის №6 საპყრობილისა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების თანამშრომელთა გადამზადება დაიწყო.**

საბაზისო და მართვის სასწავლო პროგრამების მიხედვით გადამზადებას არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების 107, რუსთავის №6 საპყრობილის 48 და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების 26 თანამშრომელი გაივლის.

## გაიტაცეს ქართველები

**გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებიდან გალის აფხაზური მილიციის უფროსის მოადგილის ოთარ ტურამბას დაჯგუფების წევრებმა 17 ქართველი ეროვნების მოქალაქე გაიტაცეს.**

გატაცებულთა შორის ყველა მამაკაცია. ისინი საკუთარი საცხოვრებლი სახლებიდან გალის მიმართულებით წაიყვანეს, თუმცა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი გალის აფხაზურ მილიციაში იმყოფებიან, ჯერჯერობით, არ დასტურდება.

ოჯახის წევრთა განცხადებით, მათი ადგილსამყოფელი დაუდგენელია. მოგვიანებით, ოჯახის წევრთა უმეტესობამ მიიღო შეტყობინება, რომ თითოეული მათგანის განთავისუფლების სანაცვლოდ 1000-1000 დოლარი უნდა გადაიხადონ.



ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მათ თანხის გადახდის საშუალება არ გააჩნიათ და ხელისუფლებისგან ქმედითი ზომების გატარებას ითხოვენ.

დაკავების მიზეზი აფხაზური მილიციის წარმომადგენლებს არ განუმარტავთ, გავრცელებული ცნობით კი, ქართველების დაკავება იმის გამო მოხდა, რომ მათ აფხაზური პასპორტი არ ჰქონდათ.

## „ბადაგონსაც“ მიადგნენ

**ღვინის კომპანია „ბადაგონში“ გუშინ კახეთის ფინანსური პოლიცია შევიდა. ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ღვინის ავზებიდან აღებული სინჯების დამოუკიდებელი ლაბორატორიული დასკვნის საფუძველზე, 19-ე და 23-ე 60-ტონიანი ავზებიდან ფალსიფიცირებული ღვინო გადაღვარეს.**

გამოძიებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ კომპანია „ბადაგონი“ ფალსიფიცირებულ ღვინოს ასხამდა. მათივე განმარტებით, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ღვინის ნიმუშები აიღეს და შესამოწმებლად ექსპერტიზაზე გადააგზავნეს.

ოფიციალური ინფორმაცით, კომპანიის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ფალსიფიკაციის მუხლით არის აღძრული.

ფინანსურ პოლიციასთან ერთად, ახმეტის რაიონის სოფელ ხოდაშენში კომპანია „ბადაგონში“ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბაკურ კვეზერელიც იმყოფებოდა.



„ბადაგონის“ წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ასეთი სახის შემოწმება მათ მიმართ დაგეგმილი პროვოკაციაა, რადგან ქარხანაში ღვინის მასალები იტალიიდან შემოდის და ისინი ხარისხის ყველა სტანდარტს შეესაბამება.

„ბადაგონის“ წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ მოგვიანებით, შესაძლოა, სასამართლოს მიმართონ.

ღვინის კომპანია „ბადაგონის“ პრეზიდენტი თემურ უბილავა კომპანიაში ფინანსური პოლიციის შესვლას გაუგებრობას უწოდებს.

მისივე თქმით, ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ გაუგებრობა აღმოიფხვრება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, შესაბამისი ზომების მიღებას გეგმავს.

— თუ ამ შემოწმებას არა გაუგებრობის, არამედ სხვა სარჩული აქვს, მეც და ჩემი პარტნიორებიც მოვილაპარაკებთ და შესაბამის სამოქმედო გეგმას შევიმუშავებთ. ღვინისთვის საჭირო ყველა მასალა ჩვენთან საზღვარგარეთიდან, კერძოდ, იტალიიდან შემოდის. ღვინოს გავლილი აქვს უამრავი ექსპერტიზა. ევროპის წამყვანი ექსპერტები ღვინის ხარისხის სტანდარტების შესაბამისობას ადასტურებენ. რამდენიმე წუთის წინათ ვესაუბრე ჩემს იტალიელ პარტნიორებს და არ გამოვრიცხავ, რომ საქმის განხილვაში ისინიც აქტიურად ჩაერთონ, — აღნიშნა უბილავამ.

**გუშინ საღამოს ამ საკითხზე პრესკონფერენცია გამართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა პეტრე ცისკარიშვილმა.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

● ერთი უბრალო მოჩხრიალე შადრევანი რომ მქონოდა, წელს ზღვის ხარჯებსა და მზის დაკვრას გადავურჩებოდი

მოილეთ მოწყალება, ჩვენო საყვარელო მუზის ოსტატებო! საქართველოს ეკონომიკურ სასწაულებზე თქვენს სიტყვას ქვეყანა მოუთმენლად ელოდება



◉ გამოიცა

# ამბავი ჯაფარიძეთა

**სერგი მაკალათიას „მთის რაჭა“ გადავფურცლე, კითხვას შევყევი და მკითხველის დასკვნა ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა: საქართველოს ცნობილი მხარის ესოდენ შთამბეჭდავად გადაშლილი სურათი უნდა გამოიცეს მესამედაც და ამჯერად, საგანგებოდ შერჩეულ წყაროსთან – ლადო ჯაფარიძის მოგონებებთან და ჩანაწერებთან ერთად.**

ამ პირობის დაცვით მკითხველს საშუალება მიეცემა, უფრო ღრმად გაიაზროს დედაბუნებისა და ადამიანების ურთიერთშესაბამისობის საკაცობრიო პრობლემა.

„ლადო ჯაფარიძე – ფრიად საინტერესო პიროვნება, აქტიურად იყო ჩაბმული ყოველნაირ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც კი სამშობლოს წაადგებოდა“, – გვიცხადებს წინასიტყვაობის ავტორი და ამ შესანიშნავი წიგნის გამოცემის მოთავეთაგანი, ბატონი შოთა ხოდაშნელი. რაც სრული ჭეშმარიტებაა.

ერის სამსახურში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დახარჯული ტყუპები: ლადო და გრიგოლ ჯაფარიძეები ლეგენდარული პითაგორელების – დამონისა და ფინტიუსისდარ უნიკუმებს მოგვაგონებენ.

მალაქია ჯაფარიძის ექვსივე ვაჟიშვილის ნაამაგართა ჯამი უთუოდ შთამბეჭდავია და საკადრის დაფასებას იმსახურებს. ორი უზადო პედაგოგი, ლიტერატორი და მხატვარი, ლადო და გრიგოლი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი – დავითი, კანონიერი იურისტი – ალექსანდრე და უტყუარი ექიმი – ვალერიანი. ხუთივემ სამშობლოს გარეთ შეძენილი ცოდნა ისევ სამშობლოს მოახმარა.

რაც შეეხება მეექვსეს, ყველაზე უმცროსს. ვახტანგ ბერიძე: „უჩამ ხომ ბევრი სურათი უძღვნა რაჭის მკვიდრთ, ბუნებას, სურათები, გამთბარი ისეთი გრძნობით, როგორიც ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ თავისი მშობლიური კუთხის მიმართ“. უჩა ჯაფარიძის მშობლიური კუთხის ამსახველი ფერწერული ტილოებიდან წმინდა რაჭველის სისხლი ძალუმად მოჩხრიალებს, მისი ხმა ჩემთვისაც ნაცნობია, როგორიც გრიგოლ ჯაფა-



რიძის ვაჟიშვილის თანაკლასელისათვის. იმედია, მოვესწრებით სამხატვრო აკადემიის პროფესორის ოთარ გრიგოლის ძე ჯაფარიძის ახალი გრაფიკული ნამუშევრების გამოფენას და მაყურებელი თავად დარწმუნდება, რომ გენეტიკის მუხტი არათუ ჩამცხრალა, კვლავინდებურად მძლავრობს, იზრდება, მდიდრდება და აშკარად ავლენს განახლების უტყუარ ელფერს.

მალაქია ჯაფარიძის მთელი ოჯახის ამაგდარობის სივრცე გამაოგნებელია. რა უმნიშვნელოვანეს ეროვნულ და ზოგად კულტურულ წამოწყებაში ხშირად მოთავეებადაც ჩანან ძმები ჯაფარიძეები, თავდავიწყებით მოქმედნი საზოგადოებრივ ასპარეზზე. აი, მაგალითი ცხოვრებისა, როცა საზოგადოებასა და პირადობას შორის გამყოფი ხაზის გავლა არათუ ძნელია, შეუძლებელიც კი.

არავინ უწყის, თუ რა ფორმატი დასჭირდებოდა ორი საუკუნის მომსწრეს ნანახისა და განცდილის სრულად გადმოცემას, შეხვედრებს: აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, ანატოლ ფრანსთან... მიმოწერას: კნუტ ჰამსუნთან, გრიგოლ რობაქიძესთან, „ცისფერყანწელებთან“... ურთიერთობებს: გალაკტიონთან, იოსებ იმედაშვილთან, იოსებ გრიშაშვილთან, შიო მღვიმელთან, ანდრია რაზმაძესთან, დიმიტრი არაყიშვილთან, კოტე მარჯანიშვილთან, უშანგი ჩხეიძესთან, დავით კაკაბაძესთან, მაიაკოვსკის ოჯახთან, ალ. სუმბათაშვილთან, მაქსიმ გორკისთან, შალიაპინთან... რამდენ და რამდენ ღირსეულთა მიმართებაში თუ თანადგომაში ჩქეფდა ეს დაუოკებელი წადილი სიკეთის ქმნადობისა.

მართალი უთქვამს ოჯახის ერთერთ მეგობარს, ნახევრად ხუმრობით: რა დაუდეგარი ყოფილხართ ძმები ჯაფარიძეები... ამ დაუდეგრობის დიაპაზონის სრული სურათის გადმოცემა მომავლის საქმეა.

მოძიებული სახსრების ყალიბმა მხოლოდ ოთხასი გვერდი ჩაიტია და ოთხასივე გამსჭვალულია წმინდა ადამიანური მოვალეობის უყოყმანო და უხმაურო შესრულების საოცარი ხიბლით.

**ბუნება და ადამიანები... გააჩნია ბუნებას, გააჩნია ადამიანებს... ალბათ, ამიტომაც ზემოხსენებულ კონტექსტის მიმართებაში გამახსენდა რაჭის წიალისეული ბროლი.**

**მიხეილ გიჟიმყრელი**

◉ ელამი სარკე

# ქართული მარგალიტები

**დაკვირვებული ვარ, წარმატებული ინფლაციის ფონზე, რაც უფრო შეძლებულები და მდიდრები ვხდებით, მთავრობის მიმართ პრეტენზიები მოკლების ნაცვლად მატულობს. მე პირადად დიდი პრეტენზიულობითა და მომთხოვნელობით არ გამოვირჩევი, მაგრამ ერთზე კი მწყდება გული – მთელი დედაქალაქი მოცეკვავე და მომღერალი შადრევნებით გაივსო, ჩემს ქუჩაზე კი მისი მშვენებლობა ჯერ დაგეგმილიც არ არის. არადა ერთი უბრალო მოჩხრიალე შადრევანი რომ მქონოდა, წელს ზღვის ხარჯებსა და მზის დაკვრას გადავურჩებოდი.**

მაგრამ რომ გამახსენდება, რომ ახლახან ჩვენს ქუჩაზე ახალი, ევროპული, ბრჭყვიალა ნაგვის ურნები დაიდგა, უშადრევნობით გამოწვეული წყენა სულ მავიწყდება. ერთი კია, ახალ ურნებზე რატომღაც ლექსები არ აწერია. ეტყობა, ადგილობრივმა არჩევნებმა შეუშალათ ხელი, თორემ დარწმუნებული ვარ მერიას ეს ფრიად ინტელექტუალური აქტი თვალთახედვიდან არ გამორჩებოდა.

არადა წინა ნაგვის ურნებზე რა შესანიშნავი პოეზია ღუოდა. მიხვიდოდი ნაგვის ჩასაგდებად და უწინარესად შემოგეგებებოდა: „ჩაყარე ნაგავი, იქნები მაგარი!“ „როგორ დავარქმევთ ჭკვიანებს, იმათ ვინც გვაჭუჭყიანებს“. ანდა კიდევ: „თბილისელო, ნუ ხარ მორცხვი, დაიკავე ხელში ცოცხი!“ და უამრავი სხვა სტრიქონი, რომლებიც ჩვენ ნაგვის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთ გუნდად გვკრავდა.



ზოგი შეიძლება შემომედავოს – ნაგავზე წერა რა პოეტის საქმეაო. მთლად ასე არ არის საქმე, მეგობრებო. იყო დრო, ლირიკასა და პატრიოტულ პოეზიას ვალმერთებდით. ახლა, როცა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და საცაა ნატოშიც შევალთ, ვილას სჭირდება შენი ლირიკა და პატრიოტიზმი, მით უფრო, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დღემდე ვერ დავიბრუნეთ.

ამიტომაც, სრულიად ბუნებრივად, ბოლო წლებში პოეზიამ უფრო უტილიტარული მიმართულება მიიღო. ამის დასტურია ზემოთ დასახელებული ლექსებიც, რომლებიც დღევანდელობის ფრიად აქტუალურ პრობლემას ეხმაურებოდნენ. დანაგვიანებულ ქუჩებსაც რომ თავი დავანებოთ, პარტიებსა და მოძრაობებში იმდენი ნაგავი დაგროვდა, თუ დროულად არ გადავყარეთ, ჩვენი ღვთივკურთხეული მიწა ნამეტანი დაგვიმძიმდება.

ერთი ეგ არის, უცხოურ რეკლამებს მთელი ქალაქი გადაუჭრელებია, ქართული პოეზიის ასეთი მარგალიტები კი მიკარგულივით იყო. თანაც შემოქმედი არ ჩანდა, ლექსებს ავტორის გვარი არ ეწერა. არადა, საზოგადოებამ ხომ უნდა იცოდეს, ვის ეკუთვნის ჩვენს მიერ ნახსენები მარგალიტები.

უფრო უკატიებელი კი ის არის, რომ მერიამ, როცა ძველი ნაგვის ურნები მოხსნა, ის მარგალიტებიც თან გააყოლა, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ავტორზე, რომელიც ისტორიამ სამუდამოდ დაკარგა. ამ დალოცვილებს პოეტის უკვდავი ლექსები წიგნად მაინც გამოეცათ!

ამას იმიტომ ვამბობ, რომ შეცდომა აღარ გავიმეოროთ. ახლა როცა შევარბილეთ თავდაცვაზე ზრუნვა (ამაზე უკვე ნატო და ეუთო ზრუნავენძ და კურსი ძლიერი, უინფლაციო ეკონომიკისაკენ ავიღეთ, დარწმუნებული ვარ, გამოჩნდებიან პოეტები, რომლებიც მთავრობას თავიანთ ხმას შეუერთებენ. ჩვენში გაჩნდება ახალი მიმართულება ლიტერატურაში – ეკონომიკური პოეზია, რომლის მსგავსი ჯერჯერობით მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის პოეზიას არ შეუქმნია.

რა თქმა უნდა, ლექსებს ეკონომიკაზე და შადრევნებზე ადგილს მიუჩენენ მდიდრულად გაფორმებულ პანოებზე და არა ნაგვის ურნებზე, რომლებიც ჩვენთვის უკვე განვლილი საფეხურია. თუმცა ქვეყნის წარმატებული აღმშენებლობის ფონზე არ შეიძლება, გული არ გატკინოთ იმ ფაქტმა, რომ დღემდე შადრევნებისთვის ლექსი არც ერთ ქართველ პოეტს არ მიუძღვნია. ეკონომიკამ კიდევ შეიძლება მოითმინოს (სულ ორი დღეა, მისი აღმავლობა დავიწყეთძ, მაგრამ შადრევნები? ისინი ხომ უკვე წელიწადზე მეტია ჩხრიალებენ დედაქალაქის ქუჩებში.

მოილეთ მოწყალება, ჩვენო საყვარელო მუზის ოსტატებო! საქართველოს ეკონომიკურ სასწაულებზე თქვენს სიტყვას ქვეყანა მოუთმენლად ელოდება.

**ოტია ჩართოლანი**

◉ გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების დაყოვნებული თანხის დამატებით 0,07 პროცენტით ანაზღაურება ეხება თუ არა სახელფასო დავალიანებებს, რომელიც წარმოშობილია ახალი შრომის კოდექსის მიღებამდე?**

**დარწმუნებული ვართ, რა, თქვენს გულისხმიერებაში, წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისათვის.**

**ელისაბედ ნინიძე, ბუღალტერი**



**პასუხი:** 2006 წლის 4 ივლისიდან ძალაში შესული შრომის კოდექსის ნორმები ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა (საფუძველი: შრომის კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, თავი XIII, მუხლი 53-ე).

* * *

**კითხვა: ვარ სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი, რის გამოც შეზღუდული მაქვს ქვემო კიდურების მოძრაობა; ვსაჭიროებ მომვლელს.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მომვლელისათვის მეკუთვნის თუ არა ყოველდღიური დახმარება დადგენილი თანხის მიხედვით?**

**მელენტი ქლენტი**

**პასუხი:** ბატონო მელენტი, კარგად გვესმის თქვენი მდგომარეობა... გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონის შესაბამისად ომის I ჯგუფის ინვალიდების მოვლისთვის პენსიაზე დანამატის დარიცხვა, ან ყოველთვიური დახმარების გაცემა, სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული.

* * *

**კითხვა: 2006 წლის 30 მაისს დამეღუპა სამამულო ომის ვეტერანი მეუღლე. მისი პენსია იყო 93 ლარი. ჩემი პენსია არის 45 ლარი. ვარ ომის მონაწილეებთან გათანაბრებული. შეიძლება თუ არა გადავიდე მეუღლის პენსიაზე?**

**ლანა ჩხაიძე**

**პასუხი:** ქალბატონო ლანა, მეუღლის პენსიაზე შეგიძლიათ გადახვიდეთ, მაგრამ მისი ოდენობა იმ პენსიაზე მეტი არ იქნება, რასაც ამჟამად იღებთ. ერთდროულად ორი სახის პენსიის მიღებას კი მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

◉ ინფორმაცია

## გამოძიება კვლავ არაობიექტურია

**2 მაისის სპეცოპერაციის დროს მოკლული ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატები პროკურატურას არაობიექტურ გამოძიებაში ადანაშაულებენ.**

თბილისში, ჩოგბურთის კორტებთან 2 მაისს განხორციელებული სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ვაზაგაშვილის ადვოკატები პროკურატურას არაობიექტურ გამოძიებაში ადანაშაულებენ.

ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატებმა მალხაზ ჯანგირაშვილმა, ირმა ჭკადუამ და ვაზაგაშვილის დედამ ციალა შანავამ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

როგორც მალხაზ ჯანგირაშვილი აღნიშნავს, სპეცოპერაციასთან დაკავშირებით გამოძიება დასრულდა და საქმე განხილვისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა.

მისივე თქმით, ამ დროისთვის სპეცოპერაციის დროს ცოცხლად გადარჩენილ ბონდო ფუთურიძეს ბრალი წარდგენილი აქვს ოთხი მუხლით: ყაჩაღობის მომზადება, მკვლელობის მცდელობა, სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარება, გამოყენება.

ამ დანაშაულთან დაკავშირებით, მოგვიანებით დააკავეს კიდევ ერთი პირი ედუარდ სინდოიანი, რომელსაც ბრალი ყაჩაღობის მომზადებისთვის წაუყენეს.

ადვოკატები ირწმუნებიან, რომ როგორც ფუთურიძეს, ასევე სინდოიანს ბრალი აბსოლუტურად უკანონოდ აქვთ წაყენებული და ორივე მათგანი უკანონო პატიმრობაში იმყოფება.

**ინტერპრესნიუსი**

წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შპს „იუნიორმშენის“ გენერალური დირექტორი

ოლეგ სადუნიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



**2006 წლის 5 დეკემბერს, 14 საათზე მოწვეულია სს „ქართული შალის“ აქციონერთა საერთო კრება. ფეიქრების ქუჩა №4.**

**დღის წესრიგი**

სააქციო საზოგადოება „ქართული შალის“ ქონების ნაწილის იპოთეკით დატვირთვის და ნაწილის გასხვისების შესახებ.

**სს „ქართული შალის“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი.**

**ა/წ 5 დეკემბერს, 13 საათზე ჭადრაკის სასახლეში (ვერის პარკიძ შედგება ს/ს ს-კ „ვანო და კომპანიას“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. ანგარიში გაწვლილი საქმიანობის შესახებ.
2. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში.
3. სხვადასხვა.

**ადმინისტრაცია**

**ტელ: 877-438673**

- „გაცოცხლებული“ „ოქროს ციებ-ცხელების“ ეპოქა
- თუ მანდატური შემოგვწყრა, ვინლა გვიშველის მერე?!





## ◉ ფუფუნება



# „ავრორა-ექსპრესი“ და ალიასკაზე გატარებული ზღაპრული დრო

**ეს უნიკალური მატარებელი „ავრორა-ექსპრესი“, რომელიც თავის მგზავრებს ალიასკის ულამაზესი ხედებით დატკბობას ჰპირდება, აშშ-ს სარკინიგზო მაგისტრალებიდან მოხსნილი თითო-თითო ვაგონითაა შედგენილი, რომლებიც სულ ცოტა ნახევარი საუკუნის წინათ დასრიალებდნენ რკინიგზაზე. ეს თავისებური სასტუმრო-მატარებელია, რომელსაც მფლობელები –„ნამდვილ საგანძურს“ უწოდებენ. ყველა კუპეს ინტერიერი გასული საუკუნის დასაწყისის გემოვნებითაა მორთული. ყველგან განსაკუთრებული რომანტიკა სუფევს.**



კუპე „NATIONAL EMBLEM“

**კუპე „GOLDEN NELLIE“** მათთვისაა განკუთვნილი, ვინც საუკეთესო კომფორტსაა შეჩვეული და თავის ხასიათს არასოდეს იცვლის დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა იმოგზაუროს. მოოქროვილი ორნამენტებით გაწყობილი ჭერი, მძიმე ხავერდის ფარდები, უზარმაზარი საწოლი და საკუთარი აბაზანა. ამ მოგზაურობისათვის სპეციალურად რესტავრაცია გაუკეთდა ძველებურ სავარძლებს. კუპედან ბუნების ცქერა თუ მოგწყინდებათ, გაჩერებული მატარებლიდან შესაძლებლობა გეძლევათ მოოქროვილსაფეხურებიანი კიბეებით ჩახვიდეთ.

**კუპე „NATIONAL EMBLEM“** რომანტიკულ წყვილთათვისაა განკუთვნილი. იგი ოთხი ოთახისაგან, სტუმართა მისაღებისა და ორი სააბაზანო ოთახისგან შედგება. წარმოსადგენია, რა ბედნიერება ელის მხიარულ მეგობართა ჯგუფს.

**კუპე „GOLD MINE“** მატარებლის ოთხი ელეგანტური ვაგონიდან ერთ-ერთშია მოთავსებული. ჩარჩოიანი სარკეებით გაწყობილი მისაღები ოთახები და აბაზანა მართლაც ზღაპრული დროის გასატარებლად იწვევს ამ უცნაური მატარებლის „ავრორას“ მგზავრებს. მატარებლის მფლობელებმა იგი სპეციალურად მოოქროვილ ტონებში გადაწყვიტეს, რათა მგზავრებისათვის აღედგინათ ალიასკაზე „ოქროს ციებ-ცხელების“ ეპოქა.



კუპე „GOLD MINE“

## ◉ ინფორმაცია

### „ტარასას“ 14 წელი მიუსაჯეს

**თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ე. წ. კანონიერ ქურდს, ტარიელ ფოცხვერიას 14 წლით პატიმრობა მიესაჯა.**

სასამართლო განაჩენი მოსამართლე მამუკა ნოზაძემ გამოაცხადა. პროკურატურა ფოცხვერიასთვის 15 წლით პატიმრობას ითხოვდა.

აღნიშნული განაჩენის გამოცხადებას დარბაზში დამსწრეთა აღშფოთება მოჰყვა.

ფოცხვერიას ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა განაჩენის გამოცხადების შემდეგ ტაში დაუკრეს.

ამ განაჩენის გასაჩივრება, ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოშია შესაძლებელი.

### ჟურნალისტებო, გეშინოდეთ მანდატურებისა!

**თბილისის საქალაქო სასამართლოში, ე.წ. კანონიერი ქურდის ტარიელ ფოცხვერიას განაჩენის გამოცხადების შემდეგ მცირე ინციდენტი მოხდა.**

სასამართლო მანდატურის თანამშრომლებმა სასამართლოს შენობის გარეთ ჟურნალისტებს ინტერვიუების ჩაწერა აუკრძალეს.

ისინი მიუთითებდნენ ჟურნალისტებს, გასულიყვნენ ეზოს მიღმა და იქ შეესრულებინათ საკუთარი მოვალეობები.



ამას სასამართლო მანდატურებსა და ჟურნალისტებს შორის ხმამაღალი შელაპარაკება მოჰყვა.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ანეკდოტები

**– ბებო, სიზმარში კვლავ დავფრინავდი!**

**– ბებო კი არა, ნარკოლოგი ვარ!**

* * *

**ზოგჯერ ადამიანში საოცრად გადაენასკვება ერთმანეთს თეთრი და შავი.**

**ავიღოთ თუნდაც მაიკლ ჯექსონი...**

* * *

**აბრამი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა სახლში და სარას საწოლში მამაკაცთან წაასწრო.**

**– ოო, შენი! მოგკლავ!!!**



**– ჩუმად, ჩუმად, აბრაშა. ამ კაცს ნახევარი საწოლი მივაქირავე.**

**– სულელო! ამხელა ფართობზე სამის ჩასახლება შეიძლებოდა.**

* * *

**– გუშინ თვით შუმახერს გავუსწარი!**

**– ოჰ, შე მატყუარა და ტრაბახავ!**

**– მართალს ვამბობ, გავუსწარი, როცა ტროტუარზე მიაბიჯებდა.**

* * *

**– პეტკა, – ეუბნება ძმაკაცი, – შენი შეყვარებული, თქმა არ უნდა, მაგარი გოგოა, მაგრამ საოცარი ნაკლიც აქვს – ერთ ყურში შეშვებულს მეორედან უშვებს.**

**– ტყუილია, ვაკუუმში ხმა არ ვრცელდება.**

## ◉ გვემრავლოს!

### სახელოვანი ქალი გაზრდილიყოს



**ჩვენს რაიონში კარგი ოჯახიშვილობით გამოირჩევიან სოფიკო კირვალიძე და არჩილ ღვინიაშვილი. მათ ერთი წელიწადია, რაც იქორწინეს, ამ დღეებში სოფიკოს და არჩილს პირველი შვილი ელენე შეეძინათ.**

გივი ღვინიაშვილსა და რეგინა ჯანიაშვილს, ანზორ კირვალიძესა და თამარ ბალაშვილს შვილიშვილის დაბადებას ულოცავენ შპს „პროგრესი-95“-ის თანამშრომლები და დედოფლისწყაროს საჯარო პროფსასწავლებლის მასწავლებლები, პატარა ელენეს კი უსურვებენ, რომ სახელოვანი ქალი გაზრდილიყოს, – გვაცნობა დედოფლისწყაროდან ჩვენი გაზეთის საკუთარმა კორესპონდენტმა **ნანა ჭიჭინაძემ**.


## რეკლამა

*„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576*


## ◉ ლარის კურსი

**15 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3131 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7325 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2268 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0651 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9848 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0,4581 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4512 ლარი |

## ◉ კადრი




# განცხადება

**სამედიცინო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი და გაერთიანებული ქართული ბანკი პირველად საქართველოში გთავაზობთ ერთობლივ პროექტს – პაციენტს ყველა სახის სადიაგნოსტიკო და სტაციონარული მომსახურება (ნეიროქირურგიული, ზოგადქირურგიული და გინეკოლოგიური ოპერაციებიძ გაეწევა ბანკის მიერ გაცემული უპროცენტო კრედიტის საფუძველზე.**

**დაინტერესებულ პირებს (პაციენტებსძ აღნიშნულ საკითხზე შეუძლიათ მიმართონ ინსტიტუტის ადმინისტრაციას.**

**მისამართი: თევდორე მღვდლის ქ. 13.**
**ტელ: 94-02-89; 899 54-60-32.**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი **ალეკო ასლანიშვილი**
მორიგე რედაქტორი **მამუკა ვაშაკიძე**

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.